# ლამპარი

თ ფ ი ლ ი ს ი

ოთხშაბათი, 31 (13) მაისი.

1906

წლიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

№ 33 — ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი. — № 33


რუსეთში ტერორისტული აქტები გახშირდა.—შეტაკება მისკოვში.—ბათუმის მუშათა რწმუნებულის და ბათუმის ოლქის ამრჩეველთა არჩევნები.—ვიტე საზღვარგარეთ კვლავ ფულებს ეძებს.—ამხ. გ. პლეხანოვის წერილი მუშათა მიმართ.—დუმის მუშათა ჯგუფი და პრივესიონალური მოძრაობა.—ი. იმედაშვილის ლალატი.

**რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ.**

იმ ხელის მომწერლებს, ვისაც ივნისის ფული **არ შემოუტანიათ, გაზეთი არ** გაეგზავნება ამ თვის ოცდა თეთრმეტ რიცხვიდან. აგენტებს რედაქცია სთხოვს ფულების გამოგზავნა დააჩქარონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალი თვის პირველ რიცხვიდან გაზეთების გზავნა მოესპობათ.

დასაბეჭდი წერილები **აუცილებლათ** სუფთათ და გარკვეულათ უნდა იყოს დაწერილი. ის წერილები, რომლებსაც რედაქცია **არ მოიწონებს** რედაქციაში **არ ინახება**, პასუხისათვის საჭიროა შვიდ კაპეიკიანი მარკა.

**რედაქციის კანტორა გადავიდა მიხაილოვის ქუჩაზე, № 12, სახლი მანუელოვისა.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ".


ელისაბედ ივანეს ასული **სხირტლაძე** შვილებითურთ, მარიამ გიორგის ასული **თეთრაძე**, მარიამ ნიკოლოზის ასული **იოვაშვილი** გულითადი მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას პირველი მეუღლისა, მეორენი მამისა, მესამე ძმისა

გიორგი ნიკოლოზის ძის სხირტლაძისა.

გამოსვენება საკუთარის სახლიდან, სუდებნი ქუჩაზე ხუთშაბათს 1 ივნისს—10 საათზე დილით, კალოუბნის ეკლესიაში. 2—1

სოფრომ ნიკოლოზის ძე და ემილია დავითის ასული **სხრიტლაძენი** გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძმისა და მეორე მაზლისა

გიორგი ნიკოლოზის ძის სხირტლაძისა

გამოსვენება საკუთარი სახლიდან სუდებნი ქუჩაზე ხუთშაბათს 1 ივნისს,—10 საათზე დილით, კალოუბნის ეკლესიაში 2—1

კეკელა, მიშა, ეკატერინე, მაკა და სიძე ბალდო **ხოვაბეგოვი**, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას ძვირფასი მამის

სტეფანე მარკოზის ძე გულიევის

ცხედარს დაკრძალავენ დუშეთში ხუთშაბათს, პირველ ივნისს.

**სტუდენტი** ნოვოროსიის უნივერსიტეტისა, გამოცდილი **მასწავლებელი**, ამზადებს ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის. ადრესი: მალაკნის ქუჩა, № 29, ბინა № 14, ნახვა შეიძლება ნაშუადღევის 3 საათიდან სალამოს შვიდ საათამდე. (4—2).

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„კ ო ლ ხ ი დ ა"

ქ. ქუთაისში.

ღებულობს: 1) ხელის მოწერას მთელი გუბერნიისათვის ყველა ადგილობრივ და სატახტო პროგრესიულ ჟურნალ-გაზეთებზე, 2) გაზეთებში დასასტამბათ განცხადებებს კერძო პირებისა და დაწესებულებათაგან, 3) წიგნებს საკომისიოთ და 4) ყიდის ცალკე ნომრობით ადგილობრივ და სატახტო უფრო გავრცელებულ პროგრესიულ გაზეთებს იმ ფასებში, რაც ზედ აწერია ე. ი. 3 და 5 კაპ.

**ის. კვიცარიძე.**

31 მაისს, 1906 წ., ქ. თფილისში გამოვა ყოველ კვირეული გაზეთი

„ს ი ტ ყ ვ ა"

მღ. **ი. ჩიჯავაძის** რედაქტორობით.

გაზეთი ღირება წლის ბოლომდის 2 მ. 50 კ., ცალკე ნომერი 10 კ.

ხელის მოწერა მიიღება თვით რედაქციაში, გრიფის ქუჩა № 3, სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით დილის 9—1 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, თავ.-აზნ. ბანკესთან, ყოველ დღე. 4—3


## „პარლამენტარული ფრაქცია"

პარლამენტარული ბრძოლა — ნაწილია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა. ის მიმართულია ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ბურჟუაზიის ბატონობის იარაღია და ხელ-ფეხზე ბორკილს ადებს პროლეტარიატს.

პროლეტარიატის მიზანია ამ ორგანიზაციის კედლები შეანგრიოს, მისი შემბორკველი ძალა შეასუსტოს, რომ ბოლოს მთელი ეს ბურჟუაზიული მანქანა, მთელი მისი ჯარებით, პოლიციელებით და ჟანდარმებით ერთიან გადაატრიალოს. სახელმწიფო ორგანიზმის ცენტრი, მისი მამოძრავებელი, პარლამენტია (კონსტიტუციონურ ქვეყნებში). მისი ხელში ჩაგდება და თავის ნებაზე დატრიალება ნიშნავს მთელი სახელმწიფოს ხელში ჩაგდებას. ამიტომ მუშათა კლასობრივ პარტიას ს.-დ. აქეთკენა აქვს მიმართული თავის მთავარი ყურადღება. დასავლეთ ევროპის ს.-დ. ყოველთვის ცდილობს გაიყვანოს პარლამენტში თავისი პარტიული დეპუტატები და ადგენს მათგან ე. წ. პარლამენტარულ ფრაქციას. პარლამენტი მათთვის ბრძოლის ასპარეზია და მასში მოღვაწეობა არსებითათ ისეთივეა, როგორც ყოველი სხვა პარტიული მუშაობა. ამიტომ ის სავსებით ექვემდებარება პარტიის საერთო ხელმძღვანელობას.

რუსეთის სათათბირო არსებითათ განირჩევა პარლამენტისაგან იმით, რომ ის მოკლებულია საკანონმდებლო უფლებას. მარა ის მაინც წარმომადგენლობითი დაწესებულებაა, დაწესებულება, რომელმაც ავათ თუ კარგათ უნდა გამოსთქვას ხალხის სურვილი, მისი გულის ნადები. დიდი ნაწილი რუსეთის ხალხისა სასოებით და იმედით შეყურებს მას, მისგან მოელის ხსნას თავის გაჭირვებულ მდგომარეობიდან, უმიწაწყლოთ დარჩენილი გლეხი—მიწას, პოლიციის და სტრაჟნიკების მათრახ ქვეშ ზურგ გაწილებული ქვეშევრდომი—თავისუფლებას. მისი სიტყვები მათთვის სახარებაა, შეურყეველი, სახალხო სიტყვები. ამით დუმას დიდი გავლენა აქვს ხალხზე, მის აზროვნებაზე, შეგნებაზე, მარა ის უმთავრესათ კადეტებისაგან შესდგება, ე. ი. იმ პარტიისაგან, რომელიც თავის თავს ხალხის თავისუფლების პარტიას უწოდებს, ნამდვილათ კი ხალხზე თავისუფლათ ბატონობის პარტიას წარმოადგენს. ცხადია, თუ მათ ხმას წინააღმდეგობა არ შეხვდა, დუმის ავტორიტეტი ლიბერალურ ორპირობას, გაუბედაობას დასთესს და ძველი წყობილების ძირიანათ ამოფხვრას ხელს შეუშლის. ამიტომ საჭიროა დუმის ტრიბუნიდან ხალხს ესმოდეს ხმა ნამდვილი თავისუფლების, საჭიროა იქ მედგრათ ქუხდეს ხმა მისი ინტერესების სისწორით გამომხატველი, ხმა, რომელიც მას ნათელ გზას უჩვენებს, მტერსა და მოყვარეს თვალსაჩინოთ გაუხდის, ლიბერალურ ბურჟუაზიის ტკბილ და ბრტყელ ფრაზების უშინაარსობას გამოაშკარავებს. ამ მიზნით რ. ს.-დ. მ. პ. შემაერთებელმა სიეზდმა გადასწყვიტა პარტიული ფრაქცია შეადგინოს სათათბიროში ს.-დ. დეპუტატებისაგან, რომ იქაც ასწიოს მაღლა მთელი რუსეთის წინაშე პროლეტარიატის წითელი დროშა, აუწყოს ქვეყანას თავის დაუდგრომელი, შეურიგებელი ბრძოლის ლოზუნგები. ამ ფრაქციამ უნდა აწარმოვოს დუმაში პარტიის პოლიტიკა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს ბურჟუაზიული პარტიების ორპირობა და წაჯექ-უკუჯექობა, გამოააშკარაოს მათი ოპოზიციონური ბუზღუნის უძლურება, მთავრობასთან მორიგების ტენდენციები, შიში სახალხო მოძრაობის წინაშე, დაუპირდაპირონ მათ პროლეტარიატის გაბედული, რევოლიუციონური ტაქტიკა, მისი შეურიგებელი და მქუხარე ხმა, რომელიც მუხლმოდრეკით კი არ ითხოვს, არამედ მოითხოვს და დაიცავს კიდეც თავის მოთხოვნებს იარაღით, სანამ ძარღვებში უკანასკნელი წვეთი სისხლი შერჩება; ამით მათ უნდა თავი მოუყარონ ყველა დაჩაგრულთ, ყველა მაშვრალთ და შევიწროვებულთ თავის წმინდა დროშის გარშემო, რომელიც გაუძღვება მათ წინ თავგანწირულ ბრძოლაში სრული თავისუფლების, სრული ადამიანური უფლებების მოსაპოებლათ, რომელიც მისცემს რუსეთის გლეხკაცობას მიწას, და რუსეთის ყოველ მცხოვრებს პოლიციურ თვითნებობისაგან სრულ განთავისუფლებას. აი ესაა მათი ვალი.

თუ კი ასეთია მათი მოვალეობა, დიდია მათი პასუხის-მგებლობა პარტიის და ხალხის წინაშე, ცხადია თვით პარტიაც უნდა დიდი ყურადღებით მოეპყრას მათ ყოველ ნაბიჯს.

მაშ როგორი უნდა იყოს პარტიის დამოკიდებულება „პარლამენტარულ ფრაქციასთან"?

ამაზე შემდეგ.

## სამინისტროს კრიზისი

გეხსომებათ, რომ გასულ 13 მაისს, სახელმწიფო დუმის საისტორიო სხდომაზე, როცა გორემიკინმა წაიკითხა დეკლარაცია, რომლითაც მთავრობა უარსა ჰყოფდა, როგორც ამნისტიას, ისე ყველა სხვა მოთხოვნებს სახელმწიფო დუმისას, ამ უკანასკნელმა თითქმის ერთხმათ უარყო მთავრობა და აღიარა დაუყოვნებელი საჭიროება სამინისტრო სამსახურიდან გასულიყო. მიუხედავათ ამისა, გორემიკინი და მისი ამხანაგი მინისტრები დღევანდლამდე არხეინათ დაბრძანდებიან დუმაში, არხეინათ გამოჭიმულნი არიან მინისტრთა სავარძლებში; თითქოს დუმის გადაწყვეტილება—ძველი მთავრობა გადადგეს სამსახურიდან—იმათ სრულებითაც არ შეეხებოდეს. ამ რიგათ, სამინისტრო, რომლის ერთათ ერთი დანიშნულება, როგორც აღმასრულებელი ორგანოსი, ის არის, რომ ერთგულათ აღასრულებდეს საკანონმდებლო კრების (დუმის) ყველა გადაწყვეტილება-დადგენილებათ, ეს სამინისტრო უარყოფს სახელმწიფო დუმას, დუმა უარყოფს სამინისტროს. საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებანი ერთი-ერთს უარსა ყოფენ და ამ ნაირათ რუსეთის იმპერიაში დღეს უფრო მეტათ, ვინემ როდისმე გამეფებულია ანარქია. და ამ ანარქიას აწარმოებს თვითონ სამინისტრო.

განათლებულ ქვეყნებში, სადაც საპარლამენტო მართვა-გამგეობა არსებობს, ხშირათ საჭირო არც კი არის ხოლმე, რომ პარლამენტმა პირდაპირ გამოუცხადოს სამინისტროს უნდობლობა. ზოგჯერ საკმაოა უარყოფილ იქმნას სამინისტროს რამე წინადადება, საკმაოა შემცირდეს სამინისტროს მომხრე დეპუტატთა უმრავლესობა, რომ სამინისტრომ უმალვე თავი დაანებოს ხოლმე სამსახურს. რუსეთში სხვანაირათ ხდება. სახელმწიფო დუმამ არა მარტო უნდობლობა გამოუცხადა სამინისტროს, არამედ 13 მაისის რეზოლიუციით მან აშკარათ და ბეჯითათ მოითხოვა ძველი კაბინეტის გადაყენება და ახალის შედგენა, რომელიც შესაფერი იქნებოდა დუმის უმრავლესობისა. შემდეგშიც, ცალკე დეპუტატები, რომელთაც ტაშს უკრავს ხოლმე მთელი დუმა, იმეორებენ, რომ აუცილებელი საჭიროებაა სამინისტრო თავიდან მოგვშორდეს; როდესაც მინისტრები შემოდიან დუმაში—ამბობენ დეპუტატები—მაშინ დარბაზში ირევიან სისხლით გასვრილი აჩრდილები, რომელნიც მუშაობას გვიშლიან; ზოგიერთი დეპუტატი ძველი კატონივით აბოლავებს ხოლმე სიტყვას: „გარდა ამისა, სამინისტრო უნდა დაიღუპოს!" ამასთანავე, ხალხის წარმომადგენელნი აშკარათ აგონებენ მინისტრებს, რომ ესენი უპატიოსნო და უსინიდისონი არიან, მაგრამ მინისტრები ყურებსაც არ აბარტყუნებენ, თითქოს მათ არ შეეხებოდეს ეს ყველაფერი. რითი აიხსნება მინისტრების ასეთი... ჯიუტობა? პსიხოლოგიურათ საკითხი, რა თქმა უნდა, თავის თავად გასაგებია: ხალხის ჯალათებს სინიდისი, პატიოსნება ფეხებზე ჰკიდიათ. მაგრამ ჩვენ კითხვა გვინდა განვმარტოთ პოლიტიკურის მხრივ.

იქ, სადაც არსებობს საკანონმდებლო კრება (პარლამენტი), აღმასრულებელი ორგანო (სამინისტრო), ფაქტიურათ მაინც, აუცილებლივ მას ექვემდებარება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გაბათილებული იქნებოდა სახალხო მართვა-გამგეობა, თუ სამინისტრო თავის სურვილისამებრ და დამოუკიდებლივ მოქმედობს, კანონებსაც ისე მიატრიალ-მოატრიალებს, როგორც მას მოეპრიანება, და საბოლოო ანგარიშით კანონმდებელიც და ქვეყნის მმართველიც თვითონ სამინისტრო იქნებოდა. რუსეთში გორემიკინი, სტიშინსკი, სტოლიპინი და ძმანი მათნი—ეს სხვა და სხვა წარწერებია, სახელებია იმ სოლების, რომელნიც ერთათ შეადგენენ ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის ჩარხის უმთავრეს თვალს, რასაც დღეს ატრიალებენ, კამარილა და „ვარსკვლავების სფერა". დუმის მოთხოვნისამებრ რომ გორემიკინის სამინისტრო სამსახურიდან გადადგებოდეს და მის ნაცვლათ შესდგებოდეს ოპოზიციონურ დუმის შესაფერი სამინისტრო, მაშინ დუმა სალაყბო დაწესებულება კი აღარ იქნებოდა, როგორც ეს სურს მთავრობას, იგი გადიქცეოდა საკანონმდებლო კრებათ; მაშინ გათავდებოდა „საკანონმდებლო" წყლის ნაყვა და დაიწყებოდა რევოლიუციის აღმშენებელი მუშაობა დემოკრატიულ კონსტიტუციის დასამყარებლათ. ასე რომ სამინისტროს დამარცხება ამ შემთხვევაში ნიშნავს ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის სრულ დამარცხებას და რევოლიუციის გამარჯვებულ მსვლელობას. აი, ამიტომ, სამინისტრო არ მიდის „ატსტავკაში". თვითმპყრობელობას არ უნდა ნებაყოფლობით თავის თავის მოკვლა. და აკი უკანასკნელი დეპეშებიც რუსეთიდან იტყობინებიან, რომ გორემიკინის სამინისტროს გადაყენებაზე უმაღლესს სფერაში არც კი ფიქრობენო.

მეორე მხრივ, სახელმწიფო დუმა ვერასოდეს ვერ შეურიგდება იმ მდგომარეობას, რომ მას არ შეეძლოს სამინისტროს დაყენება თუ გადაყენება, რომ მას არა ჰქონდეს ხაზგასმული მთავრობის ნამდვილი კონტროლი (ზედამხედველობა), რაიც იგულისხმებს მინისტრების სრულს პასუხისმგებლობას ხალხის წარმომადგენელთა წინაშე. ეს არის ქვა-კუთხედი პარლამენტარული მართვა-გამგეობისა. პარლამენტარიზმისათვის კი დღეს მარტო პროლეტარიატი არ იბრძვის. მასვე ესწრაფვის მთელი ბურჟუაზია. ამიტომ არის, რომ ისეთ უკიდურეს მემარჯვენემ, როგორიცაა გრაფი გეიდენი, თავისი ხმა მისცა დუმის 13 მაისის რეზოლიუციას მთავრობის დეკლარაციაზე, სამინისტროს გადაყენების შესახებ. მაგრამ რაც უნდა ერთსულობა გამოიჩინოს დუმამ, იგი მაინც უძლურია განახორციელოს რამე, იგი მაინც აბუჩათ იქნება აგდებული ძველი სამინისტროსაგან, ვიდრე დუმა განმარტოებულია. დეპუტატმა ალადინმა სამართლიანათ განაცხადა დუმაში: „მხოლოდ ხალხის ძლევა-მოსილებას შეუძლიან აიძულოს მინისტრები აქედან გაეთრიენო". დიახ, მარტო ხალხს შეუძლიან სასიკეთოთ გადასჭრას სამინისტროს კრიზისი; ხალხს შეუძლია დუმას მისცეს ცხოველმყოფელობა და შემოქმედობა. რამდენათაც სახელმწიფო დუმა უფრო სავსებით გამოხატავს ხალხის მოთხოვნებს და რამდენადაც უფრო ერთგულათ და მტკიცეთ დაიცავს ამ მოთხოვნებს, ანუ სხვა სიტყვებით, რამდენადაც დუმა უფრო ოპოზიციონური იქნება, რამდენადაც უფრო აშკარათ შედგება რევოლუციონურ გზაზე, იმდენათ უფრო მეტ სახალხო ძალას შემოიკრებს თავის გარშემო, იმდენათ უფრო მტკიცე კავშირს გამოსჭედავს რევოლიუციონურ ხალხთან. ამ რიგათ მალე ხალხთან ერთად გადამწყვეტ იერიშს მიიტანდა ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის უკანასკნელ ბასტილიის ასაღებათ და სახალხო თავისუფლების დასამყარებლათ. ეს არის გამარჯვების უზრუნველ მყოფი ერთათ ერთი გზა.

დღევანდლამდე სახელმწიფო დუმა ავათ თუ კარგათ ამ, რევოლიუციონურ, გზისაკენ იხრება და მას, ისტორიულათ, სხვა გზა არცა აქვს სასიარულოთ. დუმის გაუბედაობა-ორპირობამ თუ მუხანათობამ შეიძლება ამ გზის გასავლელი დრო გაახანგრძლივოს, მარა შეცვლით კი ამ გზას იგი ვერ შეცვლის, ასე რომ ადრე თუ გვიან თავის ძლიერი სიტყვა უნდა წარმოსთქვას რევოლიუციამ.

საინტერესოა, რომ ამ შეხედულებას ეთანხმება ევროპის საზოგადოებრივი აზრიც. ასე მაგ. ლონდონის ცნობილი ლიბერალური გაზეთი „დეილი ნიუსი" განიხილავს რა გორემიკინის სამინისტროს და სახელმწიფო დუმის კონფლიკტს, რუსეთის არსებულ პოლიტიკურ ვითარებას ადარებს განვლილ რევოლიუციებს და ამბობს: „სახელმწიფო დუმა ითხოვს ამნისტიას პოლიტიკურ ტუსაღთათვის, მთავრობა კი ამაზე უარს ამბობს... აქ არ შეიძლება არ დავინახოთ განსაზღვრული მსგავსება საფრანგეთის ბასტილიასთან, რომელიც ჯერ კიდევ ფეხზე იდგა იმ დროს, როცა გენერალური შტატები (მაშინდელი დუმა) აგრარულ (საგლეხო) რეფორმაზე თათბირობდენ... მაგრამ ამ ჟამათ რუსეთის ოპოზიციის მდგომარეობა სულაც არ ჩამორჩება ჩვენს (ინგლისელების) საკუთარ მდგომარეობას სტიუარტების დინასტიის დროს, როცა პარლამენტმა მამაცურათ მოითხოვა მინისტრების, როგორც სტაფფორდის, ლოუდის, პასუხისმგებლობა" და ბოლოს დასახელებული მინისტრები ეშაფოტზედაც გაგზავნეს 1649 წ.

# პოლიტიკური მიმოხილვა

**როგორ „გაიმარჯვეს" ფედერალისტებმა და კადეტებმა თფილისის გუბერნიაში.**

თფილისის გუბერნიამ გულდაწყვეტილი არ დატოვა ფედერალისტები და კადეტები და თითო მათი წარმომადგენელიც აირჩია დუმის წევრათ. ეს გარემოება უბრალო შემთხვევას არ მიეწერება, მრავალ მიზეზებით აიხსნება. თავდაპირველათ ამ მიზეზთა შორის უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ჩვენი ორგანიზაცია, სამწუხაროთ (უნდა ვაღიაროთ ეს), სათანადო ენერგიით არ ეწეოდა საარჩევნო კამპანიას გუბერნიაში. მეორეთ, მსხვილი მემამულენი აქა-იქ შეშინებით თუ სხვა საშუალებით ძალას ატანდენ გლეხებს არ აერჩიათ სოციალდემოკრატები ამომრჩევლებათ. ასე გამორიცხეს ამომრჩეველთა სიიდან, მაგალ., ვ. ცაბაძე გორის მაზრაში, ასე მოხსნეს კ. ანდრონიკაშვილის კანდიდატურა სიღნაღის მაზრაში. ხანდახან მემამულენი მოტყუებით გლეხების დაუსწრებლათ მართავდენ საარჩევნო კრებას. მესამეთ, ორივე ბურჟუაზიულმა პარტიამ—ფედერალისტებმა და კადეტებმა—ბლოკი შეკრეს ერთმანეთთან, შეიერთეს თათრის ბეგებიც, ჩამოიყვანეს ამომრჩევლები ჩამორჩენილ ყრუ მაზრებიდან, ყოველი ღონე იღონეს მათზე თავიანთ სასარგებლოთ გავლენის მოსახდენათ და არც გაუჭირდათ მიზნის მიხწევა, რადგან შეუგნებელი ამომრჩევლები, მცირეოდენი გავლენის მეოხებით, აშკარა რეაქციონერებისათვისაც კი არ დაიშურებენ თავიანთ ხმას. საპატიო ადგილი ფედერალისტთა და კადეტთა „გამარჯვების" მიზეზებ შორის დაიჭირა ერთმა ვაჟბატონმაც, რომელმაც არ ითაკილა იუდა ისკარიოტელის როლი ეთამაშა. ეს ვაჟბატონი გახლავთ ცნობილი ი. იმედაშვილი, რომელსაც თავი სოციალდემოკრატათ მოჰქონდა და საშინლათ აშლოდა სადღეღელი თვითონ არჩეულიყო დუმის წევრათ. სოც.-დემოკრატია კი მას ღირსათ არ ცნობდა მისი კანდიდატურა წამოეყენებია და აი ამან ერთბაშათ შეათამაშა ამ პატივმოყვარე მდაბალ არსებაში იუდასებური, მოღალატური ინსტიქტები. ამ ინსტიქტების გავლენით, ხსენებულმა ვაჟბატონმა არჩევნების დროს ხელათ გვერდი უქცია სოციალდემოკრატებს და მაზე მინდობილ ამომრჩეველ გლეხებზედაც შესაფერი გავლენა მოახდინა.

ყველა ამ ამბების შემდეგ გასაოცარი ის კი არ არის, თუ როგორ მოახერხეს ფედერალისტებმა და კადეტებმა თავ-თავისი კანდიდატის გაყვანა, არამედ გასაკვირი ის არის, როგორ მოხერხდა ერთი სოციალდემოკრატიც გასულიყო დუმის წევრათ თფილისის გუბერნიიდან.

**რას აკეთებს ვიტე საზღვარ-გარეთ?**

მთავრობას კვლავ ფული შემოელია. ბედკრულს ეგონა უკანასკნელი სესხით წელს გაიმაგრებდა და თავის დაკარგულ დიდებას აღადგენდა, ბოლოს მოუღებდა რა რევოლიუციას. მაგრამ ფული ისევ შემოელია და, თავისი ძველი დიდება არა თუ ვეღარ აღადგინა, კიდევ უარესათ დაუვარდა, ხოლო რევოლიუცია კი ერთი-ორათ გაიზარდა, ერთი-ორათ გაფართოვდა. ან კი ფულის შემწეობით რევოლიუციის მოსპობა ხომ მხოლოდ წყალ-წაღებულის ოცნებაა ხავსი მიშველისო. ჩვენი მთავრობა კი მაინც არ იშლის და კვლავ ამ ხავსს ეპოტინება: კვლავ ფულის ძებნას შეუდგა. და აი ამ საქმის მოწყობა ისევ დახელოვნებულ მაკლერს ვიტეს უკისრია, რომელიც უკვე საზღვარ-გარეთ გაემგზავრა და გერმანიის ცნობილ მილიონერის მენდელსონის ოქროს ზანდუკებს მიუჩოჩდა მათთან თავისებური ფოკუსების გასაკეთებლათ და მით იქიდან ოქროების ამოსალაგებლათ. მაგრამ ვიტეს მენდელსონი და სხვა ბანკირებიც ძალიან მაგრათ დახვედრიან, მის ჭახრაკულ და თვალთმაქცურ ენას აღარ ნდობიან და განუცხადებიათ მისთვის—მთავრობისა და დუმის კონფლიკტი მეტის-მეტათ გვაფიქრიანებს და კრედიტის გახსნა თქვენთვის ძალიან გვეძნელებაო. ის კი არა და, თუ კონფლიკტი კვლავ განმეორდა, რუსეთის ქაღალდის ღირებულებას კრახი ეწვევაო. ეს „მწარე" ამბავი ვიტემ დაუყონებლივ დეპეშით აცნობა რუსეთის მთავრობას და ამით გააფრთხილა იგი დუმასთან ჯერ-ჯერობით მაინც კონფლიკტს მოერიდეო. თუ მთავრობამ ვიტეს დაუჯერა და მისი გაფრთხილების თანახმათ მოიქცა, ვიტეს იმედი აქვს კვლავ მილიონებს დასტყუებს ბანკირებს და მერე მთავრობაც დიდათ აღარ მოერიდება დუმას—უფრო გაბედულათ მოექცევა მას. ახალი მილიონების შემწეობით მთავრობა შეიძენს ახალ-ახალ პულემიოტებს, სამხედრო ავტომობილებს, დაიქირავებს ახალ-ახალ ჯალათებს, აღმართავს ახალ-ახალ სახრჩობელებს და სხ. და სხ... ასე თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული მთავრობა აბა რაღათ დაინახავს საჭიროთ კვლავ „ცერემონიები" დაუწყოს დუმას და მისი გარეკა ვერ გაბედოს? მაგრამ შეიძლება ამ ხელათ მთავრობას ერთმა „პატარა გარემოებამ" შეუშალოს ხელი მისი პლანების განხორციელებაში; სახელდობ იქნებ ხელი შეუშალოს თვით იმ დუმამ, რომლის ჩასაშლელათაც ის ფულებს ეძებს. ეს, რასაკვირველია, დიდათ დამოკიდებულია იმაზე, თუ დუმა რამდენათ მედგარ წინააღმდეგობას გაუწევს ამ საქმეში მთავრობას. ყოველ შემთხვევაში, დუმა მთავრობის ასეთ ვერაგულ განზარახვას უპროტესტოთ არ დატოვებს და ესეც სრულიად საკმარისია, რომ მთელი რუსეთის ხალხი შეინძრეს, რადგან დღეს დუმასა და ხალხს შორის უკვე საკმაოთ ცხოველი ურთი-ერთობა დამყარდა და დუმა შეიქნა, ისეთ ღერძათ, რომლის ასეთი თუ ისეთი გადატრიალება შესაფერ მოძრაობას გამოიწვევს მთელ ხალხში. ერთი სიტყვით მთავრობისათვის ის ნეტარი დრო, როდესაც ხალხის უკანტროლოთ თავის საქმეებს ჩარხავდა, მოუბრუნებლათ გაქრა, განქარდა.

**დუმის მუშათა ჯგუფი და პროლეტარიატი.**

დუმასა და ხალხს შორის ცხოველ ურთიერთობის დამყარებას, როგორც არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, დიდათ შეუწყო ხელი დუმაში დამოუკიდებელ მუშათა ჯგუფის გამოცალკევებამ. ეს ჯგუფი დუმასთან აკავშირებს მებრძოლ ხალხის ყველაზე უფრო რევოლიუციონურ ნაწილს—პროლეტარიატს, ამის რევოლიუციონურ გავლენას უქვემდებარებს მას და ამის შემწეობით მძლავრათ აწევა გაბედულ ბრძოლის გზაზე. მუშათა ჯგუფს და მის ცალკე წევრებს (განსაკუთრებით ყველაზე უფრო შეგნებულ მათგანს—მიხაილჩენკოს) მრავალი დეპეშები მისდის რუსეთის სხვადასხვა ადგილის მუშათაგან, რომლებიც მოიწოდებენ მათ: მედგრათ დაიცვით თქვენი მოთხოვნები, ოდნავაც არ შედრკეთ, გახსოვდეთ, რომ თქვენს უკან ვდგავართ ჩვენ და მთელი ხალხი და სხ... ამასთან მუშები უთვლიან ჯგუფს, რასაც თვითონ მოითხოვენ: ამნისტიას, სიკვდილის დასჯის მოსპობას, სამხედრო და სხვაგვარ წესების ახსნას, დამფუძნებელ კრების მოწვევას, მთავრობის დამხობას და სხ. ამავე დეპეშებით მუშები სხვა მიზნითაც მიმართავენ დუმის მუშათა ჯგუფს. მაგალ., მოსკოვის რამდენიმე (30-მდე) ქარხნის მუშები წინადადებას აძლევენ ჯგუფს—მოითხოვეთ დუმისაგან დააარსოს ადგილობრივი კომიტეტები (არჩეული საყოველთაო, პირდაპირი და სხ. კენჭის ყრით) რუსეთის ხალხის ყველა საჭირბოროტო კითხვების გადასაწყვეტათო; თვითონ ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, რა არის მისთვის სასარგებლო და რა მავნებელიო. ამნაირათ მოსკოვის მუშებს ნათლათ შეუგნიათ, თუ რის გაკეთება შეუძლია დუმას. ისინი არ გამოელიან დუმისაგან არავითარ დღევანდელ მწვავე კითხვის გადაწყვეტას და მოითხოვენ მისგან ხოლოდ იმას, რომ მან ხელი შეუწყოს ხალხის მოძრაობის ორგანიზაციას, რომ გაუადვილდეს დღევანდელ დიად პოლიტიკურ კითხვების გადაწყვეტა, რომლებიც მხოლოდ მას შეუძლია გადასჭრას.

**„მუშათა ჯგუფი" და პროფესიონალური კავშირები.**

დუმის გამოყენება რევოლიუციონურ იარაღათ გადაუწყვეტია, სხვათა შორის, პროფესიონალურ კავშირს კიევის ქალაქის გზის კონდუქტორებისა და მხლებლებისას, რომლებსაც შემდეგი დეპეშა გაუგზავნიათ მუშათა ჯგუფისათვის: „ამხანაგებო! შევუდექით რა ბრძოლას ხაზეინების ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ეს მესამე დღეა მედგრათ განვაგრძობთ გაფიცვას. მიუხედავათ ჩვენი მოთხოვნების წმინდა პროფესიონალურ ხასიათისა, ადმინისტრაციამ აქაც საჭიროთ დაინახა პირველ დღიდანვე ხაზეინებისათვის დაეჭირა მხარი და ჩვენს ადგილზე საპიორები გაგზავნა. ასეთი საქციელით აღშფოთებულნი გთხოვთ დუმის ტრიბუნიდან მთელი რუსეთის პროლეტარიატის წინაშე ენერგიული პროტესტი განაცხადოთ შრომისა და კაპიტალის ბრძოლაში ტლანქი ძალის გარევის წინააღმდეგ". ამნაირათ, ხსენებული პროფესიონალური კავშირი, თვითონ პოლიტიკურ-რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე შემდგარა.

ასეთსავე გზაზე მოიწოდებს დუმის მუშათა ჯგუფთან მიმართვით დანარჩენ პროფესიონალურ კავშირებსაც, და ეჭვი არ არის, რომ მისი ხმა გაუგონრათ და უგავლენოთ არ დარჩება მათთვის. და პოლიტიკურ-რევოლიუციონურ გზაზე ერეკება პროფ. კავშირებს თვით მთავრობა თავისი ტლანქი მოპყრობით. ამ სახით, პროფესიონალური კავშირებიც, რომლებსაც მთავრობა ბოლო დრომდე შედარებით მეტ თავისუფლებას აძლევდა მხოლოდ იმ იმედით, რომ ეს მუშათა მასის ყურადღებას პოლიტიკას ჩამოაშორებსო,—ჰო, პროფესიონალური კავშირებიც მთავრობისათვის სულ წინააღმდეგ როლის თამაშს იწყებენ—რევოლიუციის იარაღათ ხდებიან, და ისინი მით უფრო მძლავრი იარაღი ხდებიან მის ხელში, რომ მუშათა ფართო მასას შეაცავენ, ფართო მასას ფენენ რევოლიუციის ნაკადულს.

**მუშა დეპუტატი საველიევი და სოციალდემოკრატია.**

ჩვენი მკითხველი იცნობს „მუშათა ჯგუფის" წევრს მოსკოველ ასოთამწყობს საველიევს, რომელიც კადეტების მიერ დათმობილ კანდიდატურის ძალით იქნა მუშების მიერ არჩეული. საველიევის შესახებ გაზეთები ბევრ ხმებს ავრცელებდენ და გვაფიქრებინეს, რომ საველიევმა მუშათა პარტიას უღალატა. როგორც შემდეგში სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ეს ხმები დიდათ გაზვიადებული და მოჭორილი ყოფილა. მართალი მხოლოდ ის აღმოჩნდა, რომ საველიევი მტკიცეთ არ ეკუთვნის არც ერთ პარტიას, ხოლო უმთავრესათ კი მისი სიმპატია სოციალდემოკრატიულ პარტიისაკენ არის. თავის პარტიულ პოზიციის ასეთ განუსაზღვრელობის გამო დღეს საველიევს იუმართნია თავის ამომრჩეველ მოსკოველ მუშებისთვის და უთხოვნია რჩევა—როგორ დაიჭიროს თავი და რომელ პარტიას მიეკედლოს. მოსკოვის მუშათაგან საველიევს შემდეგი პასუხი (რეზოლიუცია) მიუღია: „ჩვენ საჭიროთ ვცნობთ, რომ თუ სახელმწიფო დუმის წევრს საველიევს სურს გამომხატველი იყოს მოსკოვის პროლეტარიატის ნებისა, ის დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიაში. თუ ის დუმაში წარადგენს ისეთ მოთხოვნებს, რომლებისთვისაც ეს პარტია იბრძვის, მაშინ ჩვენ, 350 კაცი ერთმანეთს ფიცს ვაძლევთ, მხარი გავუმაგროთ მას მთელი ჩვენი ძალ-ღონით და მისთვის სიცოცხლეც არ დავზოგოთ". ეჭვს გარეშეა, რომ საველიევი სრულიად უყოყმანოთ სოც.-დემ. პარტიის წევრი გახდება და ამით თავის გადეპუტატების მიზეზს—კადეტთა პარტიას ვერაგულათ „უღალატებს". რაც უფრო მუშათა ჯგუფი მტკიცეთ დაადგება დამოუკიდებელ პოლიტიკის გზას, მით უფრო ბევრი ასეთი „მოღალატეები" აღმოუჩნდებათ კადეტებს მუშათა შორის, მით უფრო გაუცრუვდებათ მათ მუშების გარყვნის იმედები!

# დ ე პ ე შ ა

კერძო

**ქუთაისი.** ისიდორე რამიშვილს. გილოცავთ დეპუტატათ არჩევას, როგორც პარტიის გამარჯვებას.

მიხაკო.

# ახალი ამბები

✦ ოფიციალურ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია თფილისის **გენერალ გუბერნატორის ტიმოფეევის** შემდეგი განცხადება: „ვაჭრებისა და ქალაქის მართველობის შუამდგომლობის გამო, თვით მაღაზიის პატრონებმა და ნოქრებმა ერთმანეთთან შეთანხმებით დააწესონ დრო თუ რამდენ ხანს გაგრძელდეს მაღაზიებში ვაჭრობა; მე ჩემის მხრით ვიშუამდგომლე მისს უდიდებულესობის ნამესტნიკთან, რომ დაკმაყოფილებულ იქნას ვაჭრებისა და ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა. ამისათვის ნებას ვაძლევ ფართლეულობისა და გალანტერეიის მაღაზიების პატრონთ (ტანისამოსისა, ფეხსაცმელებისა და სხ.) შეწყვიტონ ვაჭრობა საღამოს 7 საათზე ადრეც, ხოლო სანოვაგით მოვაჭრეებს ნებას ვაძლევ ივაჭრონ 8 საათის შემდეგაც მოსამსახურეებთან შეთანხმებით, მაგრამ არა უგვიანეს ღამის 12 საათისა. ზემოხსენებულს ვაცხადებ საყოველთაოდ. 29 მაისი, 1906 წ.".

✦ 31 მაის, არტისტიულ საზოგადოების თეატრში დანიშნული **წარმოდგენა „ჰამლეტი" გადაიდო** რადგან ბ-ნი მესხიშვილი ამ ხანათ ბაქოში იმყოფება და დანიშნულ დროზე აქ მოსვლა არ შეეძლო. წარმოდგენის დღეს პატივცემულ საზოგადოებას ვაუწყებთ გაზეთების და აფიშების საშუალებით. 31 მაისის ბილეთები გამოდგება.

✦ დღეს, 31 მაისს, ვეტცელის თეატრში ვ. აბაშიძის მეთაურობით **ქართველი არტისტები წარმოადგენენ** ი. ევდოშვილის ორიგინალურ პიესას—კომედია-ფარსს—სათაურით: „ჭრელი სუფრა". წარმოდგენა დაიწყება საღამოს რვა საათზე.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს, როგორც „კავ." სწერს, გადაეცა საბრალდებო ოქმი სადგ. ქუთაისის აგენტის კ. ხორინისა, მემანქანე ალექსი პეტუხოვისა, ტელეგრაფისტ კ. ლაბოურისა, კონდუქტორების დ. შალაგინისა და ი. კრივორუჩკისა და სხვ. სულ ათი კაცისა. ამათ **ბრალდებათ თავდასხმა 1905 წლის 29 დეკემბერს სადგ. ტყვიბულში მე-129 ქვეითა ჯარის კაცთა ბესარაბიის პოლკზე** იმ მიზნით, რომ ვინტოვკები და პატრონები გაეტაცათ, ამავე ბრალდებათ ეფრეიტორ კოსტიუჩენკოსა და ორის ჯარის კაცის უხანოვისა და კარაპენკოს მოკვლა და კიდე რამდენიმე ჯარის კაცის დაჭრა.

✦ 28 მაისიდან დაიწყო წლიური მორიგი **კრება** თფილისის გუბერნიის თავადაზნაურებისა.

✦ 29 მაისს, მორიგ სხდომაზე ქალაქის საბჭომ, სხვათა შორის, განიხილა საკითხი თფილისში **უსაქმოთ დარჩენილების შესახებ**. ხმოსნებისგან ამ საკითხზე ბევრნაირი აზრი წარმოითქვა. პრინციპიალურათ ყველა თანახმა იყო უსაქმოთ დარჩენილთათვის სამუშაოს გახსნის მით უმეტეს, რომ ქალაქს წინადვე გადაწყვეტილი ქონდა ზოგიერთი სამუშაო ამ მოკლე დროში დაეწყოო. ხმ. ხატისოვის აზრით უსაქმოთ დარჩენილებისთვის სამუშაოს მიცემა ფილანტროპიული საქმე არ არის, ეს ქალაქისთვისაც სასარგებლო საქმეა. ახალი სამუშაოს გაჩენა კი არაა საჭირო, საჭიროა მხოლოდ უფრო ენერგიულათ მოეკიდონ წინეთ განზრახულ საქმეების სისრულეში მოყვანასო; რაც შეეხება სესხის აღებას ხაზინიდან, თუ ამას სერიოზულათ მოეკიდებით, ამ მხრითაც ვუშველით საქმესო. ხმ. ევანგულოვის აზრით ქალაქის გამგეობამ ეხლავე უნდა მოითხოვოს დათხოვნილ მუშების ძველ ადგილებზე მიღება. მასთან, ევანგულოვის აზრით, საჭიროა სამხედრო წესების მოხსნა, რადგან ეს უკანასკნელნი ხელს უწყობენ უმუშევრობის ზრდასო. უნდა შემუშავდეს მოხსენება სამხედრო წესების გაუქმების შესახეაო. ქალაქის თავის ბ-ნ ჩერქეზიშვილის აზრით ეგ საჭირო არ არის, რადგან ამას არავითარ ყურადღებას არ მიაქცევენო. კრებაზე სხვათა შორის ილაპარაკეს მუშების წარმომადგენლებმა. ერთმა მათგანმა ახსნა, რომ პროლეტარიატი სამუშაოს არ თხოულობს, არამედ მოითხოვსო. მან კატეგორიული პასუხი მოითხოვა საბჭოსაგან: „გვაძლევთ თუ არა სამუშაოსო". ამას შემდეგ ილაპარაკეს მუშების სხვა წარმომადგენლებმაც. საბჭომ მიიღო სრულათ გამგეობის მიერ წარმოდგენილი მოხსენება, გარდა ერთის პუნქტისა (ქალაქის უძრავ ქონების დაგირავების შესახებ); რადგან სხდომას ყველა ხმოსნები არ დასწრებიან და დამსწრენი ამ საკითხზე სხვადასხვა აზრის იყვენ. საბჭომ დაადგინა შემუშავებულ იქნეს მოხსენება მომავალ სამუშაოს შესახებ; ამ მოხსენებას საბჭოს შემდეგი სხდომა განიხილავს.

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის შენობაში დანიშნულია **სხდომა** ქ. თფილისში უსაქმოთ დარჩენილების შესახებ მოსალაპარაკებლათ. სხდომა განიხილავს საკითხს, თუ რა ნაირათ განხორციელდეს პრაქტიკულათ ქალაქის გამგეობის 29 მაისის დადგენილება.

✦ გუშინ, თფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ მიიღო ცნობა გენერალ-გუბერნატორ ტიმოფეევისაგან, სადაც სწერია, რომ იგი, გენერალ-გუბერნატორი, თანახმაა **ალები ნოქრებთან შეთანხმდენო** და ვაჭრობა დილის 8 საათიდან, საღამოს 6 საათამდე აწარმოვონო. ამის გამო ქალაქის თავმა ვაჭართა მამასახლისის დახმარებით მოწოდება შეადგინა და ქალაქში მომუშავე ნოქრებს დაურიგა. დღეიდან ნოქრები ისევ შეუდგებიან მუშაობას.

✦ დუშეთიდან გვწერენ: 25 მაისს დუშეთის საპატიმროდან **გაიქცა ერთი პატიმარი**. ეს ამბავი მაზრის უფროს შმერლინგისათვის შეუტყობინებიათ. შმერლინგს, რომელიც საჩქაროთ მისულა ციხეში, უბრძანებია მათრახით ეცემათ მორიგი დარაჯებისთვის. შემდეგ მივარდნილა ზედამხედველთან და ცემა დაუწყია მისთვის. ესეც არ უკმარებია ბ-ნ მაზრის უფროსს: შევარდნილა საპატიმროს იმ განყოფილებაში, სადაც გაქცეულ პატიმრის ამხანაგი იმყოფებოდა და მისთვისაც უცემია. ამას შემდეგ კი „დამშვიდებული" სახლში დაბრუნებულა.

✦ თფილისის **სახაზინო თეატრის დირექტორათ** მომავალ სეზონისთვის ლ. ვ. შტემბერგი მოუწვევიათ.

✦ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ
დღეებში მიმართა თფილისის ქალაქის
გეობას და სთხოვა სხვა დროისთვის
იდოს **ტრამვაის იმ შტოების გაკეთება**
რომელიც 25 აგვისტოს ხელშეკრულე
შია მოხსენებული, რადგან ამას დრო
ვერ დავამთავრებთ.

✦ გუშინ, 30 მაისს, თფილისის გუბ
ნიის თავად-აზნაურთა მარშლის მოადგ
თავ. ორბელიანის თავმჯდომარეობით, შ
დგა **გუბერნიის თავად-აზნაურთა ჩვეუ**
**ლებრივი კრება.** კრების გახსნისთან
თავმჯდომარემ მოაგონა დამსწრეთ, თუ
დიდმნიშვნელოვანი ფაქტია რუსეთის
ველ წარმომადგენლობითი დაწესებულ
გახსნა და წინადადება მისცა კრებას, რ
მან სახელმწიფო სათათბიროს დეპეშ
მიესალმოს. გენერალ ჯილიაევმა და
თუმანიშვილმა თავიანთ სიტყვაში მოი
ვეს—ჯერ ხელმწიფე-იმპერატორს
თვით სამადლობელი დეპეშაო. თავ.
ზიც პრინციპიალურათ დაეთანხმა გენ
ჯილიაევს და წინადადება მისცა კრ
გაუგზავნოთ დეპეშა სათათბიროს და
დეპეშაში გამოვთქვათ ჩვენი უქვეშევ
მილესი გრძნობები ხელმწიფისადმი,
გიერთის აზრით ახლა არაა საჭირო
მწიფის შეწუხება, რადგან თებერ
უკვე მივართვით სამადლობელი ადრ
კრებამ თავ. აფხაზის დახმარებით ძარ
აისაგან შემდგარ კომისიას მიანდო ს
ბიროსადმი მისაგზავნელ დეპეშის
შავება. ბოლოს მიიღეს შემდეგი
ტი: „თფილისის გუბერნიის ქარ
ლი თავად-აზნაურობა თავის მოვალე
სთვლის სალამი უძღვნას რუსეთის
პირველ პარლამენტს, რომელიც იცავ
ადი რუსეთის ყველა ერთა უფლებას
თავისუფლებას. საქართველო, რომე
თავისავე ნებით შეუერთდა ერთ-მორწ
რუსეთს, გაობრებულია, მისი ყოველ
უფლებები გათელილია. იგი მოძმე
წარმომადგენელთაგან მოითხოვს ამ უ
ბების აღდგენას მისი ავტონომიურ-დ
კრატიულ მართველობის მიცემით დიდ
საქმობლო რუსეთისგან განუყოფლათ.
რთი მეშვე იყოს დუმისა სიმართლის
სამართლიანობის სამირკველზე მთელ
სეთის მოწყობაში.

✦ ამ უკანასკნელ დღეებში პოლ
სტერს ბევრი თხოვნა მოსდის თფ
მცხოვრებთაგან, რომლითაც ესენი
**ლის ტარების** ნებართვას თხოულობ
დგან თავდასხმა და ძარცვა-გლეჯა
მეტათ გახშირდაო.

✦ გუშინ, 30 მაისს, შუადღის 12
სარაჯევის ქარხნის ორს შკარტელს, ამა
ხსის გასოფლებიდან, რომელიც მე-10
მია, 2200 მანეთი და ამდენსავე ახკარ
ქაღალდები მიქონდათ ხაზინისათვის
ისინი თუმანოვის ქუჩაზე გამოვიდნენ, ამ
შეიარაღებული უცნობი დახვდნენ, ფულები
თვეს, ჰაერში სროლა ასტეხეს და მიიმალ

✦ 29 მაისს, საშუადღეოს 4 საათზე,
ფით თავი მოიკლა მე-2 პოლტავის
კაზაკმა ლეონტი ისიდოროვს ძე გასოლ
ეს ამბავი თვით ყაზარმაში მოხდა. მიზე
ვის მოკვლისა არ იციან.

✦ „ლამპრის" 26 ნომერში მოთავ
გვქონდა ცნობა დ. დუმბაძის გაძარცვის
იქავე იყო მოხსენებული, რომ პოლიციამ
ტიმრა ამ საქმეზე არშაკ ლოლაძე, რომ
გაძარცვაში მონაწილეობა ბრალდებოდა,
ჩვენ შევიტყვეთ, რომ არშაკ ლოლაძე პოლ
უდანაშაულოთ უცვნია და გაუნთავისუფლ
კიდეც.

✦ 29 მაისს, დილის 7 საათზე კიროჩის
ზე რევოლვერით თავი მოიკლა აზნაურმა
დოვნაროვიჩმა. მოკლულის გვამი მიხეილის
მყოფში გააგზავნეს. თავის მოკვლის მიზე
იციან.

✦ 28 მაისს, საღამოს ექვს საათზე,
მოედანზე ვიღაც უცნობმა სასიკვდილოთ
თფილისის მოქალაქე პეტრე ქამუშაძე, რომ
საჩქაროთ მიხეილის საავადმყოფოში გააგზავ

✦ 30 მაის, დილის 6 საათზე, მეათე
ციო უბნის პოლიციელმა ნაძალადევში იპოვა
ერთი უცნობისა, რომელსაც ყელზე თოკი
მობმული, ფეხები შეკრული და მკერდში ხანჯ
ჭრილობა აჩნდა. ხანჯლის ქარქაში იქვე
ბოროტმოქმედის ვინაობა ვერ გამოარკვიე

✦ 29 მაის, საღამოს 10 საათზე, გინაბ
ტანისამოსში გამოწყობილი სამი უცნობი
და შევარდა კიროჩის ქუჩაზე გენეს საკანდ
ში. ამათ რევოლვერი ამოიღეს და დამსწრეთ
კვლით დაემუქრენ თუ 2700 მანეთ ფულს არ
ცემდენ. მაგრამ ერთმა დამსწრეთაგანმა
დაიწყო, რის შემდეგ „ყაჩაღები" გაიქცე

### გ. ვ. პლეხანოვის წერილი *)

ამხანაგო—მუშებო!

ჩვენ მოგმართავთ თქვენ ამ წერილ
ისეთ დროს, რომლის უმნიშვნელოვან

*) რედაქცია არ ეთანხმება ყველა აზრებ
წერილში გატარებულს, და ახლო მომავალ
ის აზრს გამოთქვამს.

ჩვენ სამშობლოს ამ უკანასკნელ ხანებში არ განუცდია.

მინისტრ გორემიკინის პირით მთავრობამ ცივი უარით უპასუხა სახელმწიფო სათათბიროს ყველა მოთხოვნებზე. მთავრობა არ აძლევს ამნისტიას თავისუფლებისათვის მებრძოლთ, რომელნიც დამნაშავეებათ გამოაცხადა, არ აძლევს მიწას გლეხებს, რომელნიც მანვე მიიყვანა უკიდურეს სიღატაკემდე. როგორ უნდა მოვიქცეთ ეხლა? ეს კითხვა, რომელიც თქვენ თქვენი საკუთარი საქმის, თავისუფლების და მთელი სამშობლოს საკეთილდღეოთ, გულდადებით უნდა განიხილოთ, თუმცა თქვენ გულში ეხლა საფუძვლიანი აღშფოთების ცეცხლი ღვივის. თქვენ ვალდებული ხართ თავიდან აიცდინოთ შეცდომები, რომელთაც დიდი, შეიძლება გაუსწორებელი ზიანის მოტანა შეუძლია მთელი ჩვენი მოძრაობისათვის.

ნუ აყვებით პროვოკაციას! მთავრობის ძალა დღითი დღე მცირდება, რადგან ხალხი დღითი დღე რწმუნდება რომ მისგან ახალი შევიწროების გარდა არაფერია მოსალოდნელი. მთავრობა ხედავს ამას და ცდილობს თქვენ ბრძოლაში გამოგიწვიოს, სანამ მისი ძალ-ღონე თქვენსას აღემატება. ნუ აყვებით მის პროვოკაციას; არ გაგიტაცოთ გულ-წრფელ, მაგრამ გულ-უბრყვილო ადამიანების სიტყვებმა, რომელნიც მზათ არიან ეხლავე მოგიწოდონ თქვენ იარაღით ხელში საბრძოლველათ. ეხლა ბრძოლაში გამოსვლა სასტიკ დამარცხების მომასწავებელი იქნება.

მარა ეს კიდევ არაფერია. ჩვენი მთავრობა, რომელიც აწყობს შავ-რაზმელთა „პაგრომებს" და სასტიკათ დევნის ყოველ თავისუფალ აზრს, ამ ხანათ ხელს არ უშლის სახელმწიფო სათათბიროს სასტიკ კრიტიკას. როგორ ფიქრობთ თქვენ, რისთვის იქცევა მთავრობა ასე?

იმისთვის, რომ მას უნდა თქვენ გაგხადოს რეაქციის იარაღათ.

რევოლიუციონერებს იერიში მიაქვს სახელმწიფო სათათბიროზე—ეუბნება თავის თავს გორემიკინი—ეს ძლიერ კარგია ეხლა, ჩვენმა უარმა სათათბიროს მოთხოვნებზე იმის და ჩვენს შორის შეტაკება უნდა გამოიწვიოს. რაც უფრო დაბლა დაეცემა სათათბირო ხალხის თვალში, მით უფრო სუსტათ გაუწევს ის მას დახმარებას, მით უფრო ადვილი იქნება სათათბიროს ჩაჩუმება და თუ საჭირო დარჩა გარეკაც, რევოლიუციონერებს კი შემდეგ გავუსწორდები პულემიოტების საშუალებით.

ამხანაგებო—მუშებო!

თქვენ უსათუოთ უნდა ჩაშალოთ გორემიკინის ასეთი პლანი. ნუ შეგაფერხებთ ის, რომ სათათბიროში ბურჟუაზიული პარტიებია გაბატონებული. იმიტომ კი არ სძაგს ბ. გორემიკინს სათათბირო, რომ იქ მომეტებულათ ბურჟუაზიაა, არამედ იმიტომ, რომ იქ მყოფი ბურჟუაზიული უმეტესობა მოითხოვს თავისუფლებას ყველასათვის და მიწას გლეხებისათვის.

ბ. გორემიკინის უარი მიმართულია არა ბურჟუაზიის, არამედ მთელი ხალხის წინააღმდეგ და მთელმა ხალხმა უნდა იძიოს შური ამ უარისათვის. მთელმა ხალხმა ერთხმათ უნდა დაუჭიროს მხარი სათათბიროს.

ყოველი გოგმანი ამ შემთხვევაში შეუფერებელი იქნებოდა ეხლა ჩვენი ხალხისათვის: ამით ის დაამტკიცებდა, რომ მას კიდევ არ გაუგია, თუ რაში მდგომარეობს ეხლანდელ მომენტის პოლიტიკური მიზანი. რომ ვიბრძოლოთ სოციალიზმისთვის, საჭიროა პოლიტიკური თავისუფლება. პოლიტიკური თავისუფლების დამყარებისთვის კი საჭიროა, რომ ჩვენ ჩავშალოთ რეაქციონურ პარტიის რიგები. ვაი თქვენ, ვაი მთელ ქვეყანას, თუ რომ ამაზე არ შეაჩერეთ მთელი თქვენი ყურადღება. რეაქცია ისარგებლებს თქვენი შეცდომებით და თავზარს დასცემს თავისუფლების საქმეს.

ნუ გიკვირთ, რომ მე თქვენ მოგმართავთ ამ მოწოდებით. კიდევ მეოთხმოცე წლების დასაწყისს ჩვენ ვიწინასწარმეტყველეთ თქვენი გამოსვლა ისტორიულ სცენაზე და ველოდებოდით მას, როგორც მორწმუნე ებრაელები მესსიას. ჩვენ მუდამ ვამბობდით, რომ განმანთავისუფლებელი მოძრაობა ჩვენში გაიმარჯვებს, როგორც მუშათა მოძრაობა, ან სულ არ გაიმარჯვებს. ეხლა კი, როდესაც ჩვენი მოლოდინი გამართლდა, როდესაც მუშებმა თავის გმირობით მოაახლოვეს განმათავისუფლებელ მოძრაობის გამარჯვება, ჩვენ არ შეგვიძლია გავჩერდეთ, ჩვენ ვალით ჩვენს თავს მოვალეთ, მიგითითოთ იმ პოლიტიკურ მახეზე, რომელშიაც უნდა გაგაბას თქვენ რეაქციამ.

მუდამ თქვენი ერთგული გ. ვ. პლეხანოვი.

# პროვინცია.

**დ. ჩოხატაური** (გურია). ხარისკვეს 26 მაისს, დ. ჩოხატაურში ადგილობრივ ბოქაულის განკარგულებით მოხდა მთელი ჩოხატაურის ნაწილის საზოგადოებათა ყრილობა. ნაშუადღევის 2 საათზე ადგილობრივმა ბოქაულმა თავი მოუყარა მოსულ ხალხს და მიმართა მათ შემდეგი სიტყვით: „თქვენ გეცოდინებათ ის, რომ ამ ჟამათ ქ. პეტერბურგში სხდომა აქვს გამართული სახელმწიფო დუმას (სათათბიროს), რომელიც შედგება ამორჩეულ კაცებისაგან („ვიცითო", მიუგო ხალხმა). აი ამ დუმას,—განაგრძო ბოქაულმა—მისი გახსნის დღესვე ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მიმართა სვეგ-სიტყვით. ამ სიტყვის საპასუხოთ დუმამ გამოიმუშავა და წარუდგინა ხელმწიფეს ადრესი, რაშიაც ჩამოთვლილი იყო ესა და ესა მოთხოვნილებანი. ამ მოთხოვნილებათა ასრულების მაგიერ, მინისტრთა საბჭომ მოახსენა დუმას შემდეგი: „მინისტრთა საბჭომ, განიხილა რა სახელმწიფო სათათბიროს ადრესი და სხვ"... მოკლეთ რომ გითხრათ, ამ მოხსენებაში გამოხატულია ის აზრი, რომ მინისტრთა საბჭოს შეუძლებლათ ვერ უცვნია სახელმწიფო სათათბიროს ისეთ სამართლიან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, როგორიცაა გლეხებისათვის მიწების გადაცემა, სრული პოლიტიკური ამნისტია, მინისტრებისა და საზოგადოთ მოხელეების პასუხის მგებლობა საერთო კანონის წინაშე და, საზოგადოთ, კანონმდებლობის ძირითადი დებულების შეცვლა. ნაცვლათ ამისა, მინისტრთა საბჭოს ხალხისა და ქვეყნის მსხნელს რაღაც „აზრები" კი ბლომათ ქონია, მაგრამ მატერიალისტური შეხედულება უარს ყოფს იმ მოსაზრებას, ვითომც მარტო „აზრებით" შესაძლო იყოს მშიერ-მწყურვალთა დაშოშმინება და მძიმე ცხოვრების საუკეთესო წყობილებათ გარდაქმნა, ვინაიდან არის რუსული ანდაზა, რომელიც გვაუწყებს, რომ „Соловья баснями не кормять".

თუმცა ბოქაული კი იყო გადაკრეფებული, რომ მალე მაწებს დაგირიგებენ, სკოლებს დაგიარსებენ, ქვეყნათ კანონიერებას დაამყარებენ, სალდათებს ჯამაგირებს დაუნიშნავენ, სამსახურის გადას კი შეუმცირებენ და სხვათ, მაგრამ ახალი აღთქმის შემდეგ უტყუარი წინასწარმეტყველების მაგალითი ისტორიამ არ იცის. რაც შეეხება ბ-ნ ბოქაულის წინასწარმეტყველებას, მე ის მწამს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზემორე აღნიშნულ ცვლილებებს და ბევრს კიდევ სხვას ხალხი თითონ განახორციელებს და არ მოუცდის იმ საბჭოებს, რომელთა სასწაულთ-მოქმედებაზეც ბ-ნი ბოქაული ხალხს უქადაგებდა.

ასეთი უმნიშვნელო საგნისთვის ამ სიშორიდან (30—40 ვერსტი) მოწვევამ, ხალხში დაბადა ძლიერი უკმაყოფილება. ამ უკმაყოფილების დასაცხრობათ(!) ბ. ბოქაულმა გამოაცხადა: „შარშან ბოროტმოქმედმა პირებმა ორჯერ გაძარცვეს ადგილობრივ ფოსტის განყოფილება და გაიტაცეს სულ 1555 მან. 15 კაპ. ამ ფულების გადახდა დაეკისრდა ს. ფარცხმას, მაგრამ აღნიშნულმა სოფელმა გამოაცხადა, რომ ბოროტ მოქმედნი იყვნენ როგორც ს. ფარცხმიდან, ისე ს. ამაღლებიდან და ს. ერკეთიდან, და მაშასადამე, ხსენებული სოფლებიც ისევე უნდა დაისჯონ, როგორც ს. ფარცხმა. ამ დღეებში მე მივიღე გენერალ-გუბერნატორის (ალიხანოვის) განკარგულება, რომლის ძალით აღნიშნულ ფულების გადახდა ევალება ამ სამ სოფელს: ფარცხმას, ერკეთს და ამაღლებას, კომლთა რაოდენობის მიხედვით. ეხლა მე თქვენ გიბრძანებთ, გააწეროთ ეს ფულები, აბოჭოთ და წარმომიდგინოთ ორი კვირის ვადაში!... ხალხი დიდათ აღაშფოთა ამ განცხადებამ. ბოქაულმა ხალხს დაუწყო მორბილება: მოუყვანა მაგალითი, თუ შორაპნის მაზრაში როგორ გადაახდევინეს გლეხებს ფოსტიდან განატაცი ფულები და ურჩია—ამათაც გადაეხადათ ეს ფულები, მით უმეტეს რომ, ბოქაულის სიტყვით, თვითეულ კომლს შეხვდება „ПУСТЯКЪ"-ი რამ, რომლისთვისაც არ ღირს მთავრობის მხრით სასტიკი ზომების გამოწვევა. მიუხედავათ ასეთ რჩევისა, ხალხმა ცივი უარი სტკიცა ფულების გადახდაზე და ერთხმათ იყვირა: „ჩვენ ამდენი მოთმენა ბოლოს მოვლოს მთავრობის მიერ ჩვენს ასე აშკარათ ძარცვა-გლეჯას! განა გაგონილა სადმე, რომ ქურდებსა და ავაზაკებს მშრომელი ხალხი თვითონ სდევდეს, იჭერდეს და ასამართლებდეს? მათი დაჭერა პოლიციის საქმეა და არა ჩვენი! ხალხმა უკვე დაგასახელა თქვენ დამნაშავეები და აწი თქვენ იცით და იმათ!".. ხალხის ასეთმა პროტესტმა კიდევ ბოქაულზე გასჭრა და მანაც სასტიკ ზომებზე ჰქაჰჰაჰ ხელი...

ამ დღეებში აქ თავის მეწამულით გარდაიცვალა 13-14 წლ. ქალი ნატაშა ბებელიძე. ის მიმართულათ იყო ადგილობრივი აჭრის ანტონ ჩანტლაძისას. მიზეზათ ასეთი უბედური შემთხვევისა გარდაცვალებულის მშობლებსა და ხაზეინს ასახელებენ.

ნ. ქ.

# მუშათა შორის

**ქუთაისის რკინის გზის დეპო.** რაც აქაურ რკინის გზის პატარა დეპოს მოსამსახურეთ იანვრის რეპრესიების დროს დღე დადგა, მსგავსი მთელ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე არ მომხდარა. 45 მოსამსახურეთაგან 18 კაცი ტყვეთ იჯდა ქუთაისის სატუსადოში 3-4 თვეს და ზოგი დარჩენილთაგანიც გულის ფანცქალით ყოველ წუთში ელოდა დაჭერას.

ამ ჟამათ მაშინდელი დატუსაღებულნი თავისუფლები არიან, გარდა ორისა (მეტეხოვი და შენგელია) მაგრამ ვაი ამისთანა თავისუფლებას, 6-7 სულის სარჩენის პატრონი შიმშილით სიკვდილი მოელის. ლადიან თვალტრემლიანი უსაქმოთ. თუმცა ამხანაგები ცოტ-ცოტა დახმარებას უწევენ მაგრამ მათ გაჭირვებას რას უშველის. მიმართეს რკინის გზის უფროსს ძველი ადგილების მისაღებათ, მაგრამ უფროსმა ასე უპასუხა: თქვენ არა გეთქვა საიმედონი ყოფილხართ და მიღება არ შეიძლებათ.

რაც რეაქციამ დაკლო საზრალოებს, ის თ. ქაიხოსრო ღორთქიფანიძემ შეუსრულა. (ეს ვაჟბატონი ყოფილი მომრიგებელი შუამავალია) როცა ზემოხსენებულ ტუსაღების გამოძიება დასრულდა, გამომძიებელმა იმათ გირაოს ქვეშ გამოსვლის ნება მისცა, მაგრამ დახე უბედურებას, ზალოგათ მიმუღის შეტანა რაღაც მოსაზრებით ბ. ქაიხოსროს მინდობილათო გამოცხადდა. ეს ძველი ბიუროკრატიც ხელოვნურათ სარგებლობდა ამ მინდობილობით. ცხრაჯერ ტყავ გამძვრალ ტყვე მუშებს ეს ქაიხოსრო მეათე ტყავს ურცხვათ აძრობდა. რომლებმაც ადრე მიმართეს მას „ქველმოქმედებას" იმათ მალე დაახწიეს თავი ციხეს, ხოლო ვინც გაკაპნიერდა, ან არ ქონდათ საშუალება მისი ყურადღება დაემსახურებია, რასკვირველია, სხვანაირათ ექცეოდა. მაგალითათ ორ ტუსაღს: ამბაკო მელაძეს და ალექსანდრე ქანდარიას მოუყვანა: ამათ მშობელ-ნათესავებმა იმის მაგიერ, რომ 300 მანეთის გირაო დაუდვათ, თითო 1000 მანეთიანი მოწმობები წარადგინეს სადაც ჯერ იყო, მაგრამ, პასუხათ უარი მიიღეს. ეს ქაღალდები არ ვარგა და თუ გინდათ თქვენი შვილები განთავისუფლდნენ ქაიხოსრო ღორთქიფანიძეს მიმართეთ და იმან იცისო. დაიხ იცოდა და კიდეც კამთიუნა ეს ცოდნა.

მიგეხსენება, მკითხველო „ცოდნა" რა კარგია, ნამეტნავათ ასეთ მარჯვე დროს, ასეთ პირობების წყალობით ზემოხსენებული ორი კაცი იმის მაგიერ, რომ 1 აპრილს გამოეშვათ, აპრილის გასულს ძლივს ეღირსენ თავისუფალ ჰაერის ჩაყლაპვას ისიც კიდევ ბ. ღორთქიფანიძის „გულკეთილობით", რადგან სხვა გზა აღარ იყო.

კაკი.

**ღია წერილი დაბა-სოფლებში მოსამსახურე ფარმაცევტების მიმართ.** ამხანაგებო! დარწმუნებული ვარ ყველა თქვენგანმა იცის, რა მძიმე მოვალეობა აწევს კისერზე მოსამსახურე ფარმაცევტებს და რა ხაირი შაჰან-წვალებით ეწევიან თავიანთ სამსახურს, აგრეთვე ისიც გეცოდინებათ, რა ცუდ შევიწროვებულ პირობებში მუშაობენ, დაჩაგრულნი არიან, როგორც ზნეობრივათ, ისე მატერიალურადაც. ყველა ეს კარგა ხანია შეიგნეს ჩვენმა მოწინავე ამხანაგებმა ქალაქებში და დღემდის განუწყვეტლივ იბრძვიან. სავუთარი ორგანოც აქვთ მოსკოვში. ბევრი, ძლიერ ბევრი ხელ-შემშლელი პირობები შეხვდათ ცალკე თვითმპყრობელ მთავრობისაგან და ცალკე ამხანაგების შეუგნებლობით. მაგალითად თფილისში ამ ორი-სამი წლის წინათ გაფიცვა რომ მოხდა, ბევრმა ამხანაგებმა უღალატეს გაფიცულებს და მუშაობა დაიწყეს. რასკვირველია, ეს მოუვიდათ მათ შეუგნებლობით და პოლიციელების შიშით, დაავიწყდათ სულ უბრალო ჭეშმარიტება—რომ „ძალა ერთობაშია". როგორც იცით, პროლეტარიატის თავ-განწირულმა ბრძოლამ თვითმპყრობელობა ძლიერ დაასუსტა და შორს არ არის ის დროც, რომ ეს თავის უსაზღვრო და უკონტროლო თარეშობას საუკუნოთ გამოეთხოვება. თითქმის ყველა დარგის მოხელეებმა შეადგინეს პროფესიონალური კავშირი, შეიმუშავეს მოთხოვნილებები, გამოაქვეყნეს პრესის საშუალებით და თავიანთ დამქირავებლებს ადამიანური პირობები მოსთხოვეს. გადავიკითხეთ რუსეთის და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები და ნათლათ დარწმუნდებით, რომ ამ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ყველა დარგელები ფეხზე დააყენა და შეაკავშირა. ჩვენ კი დაბა-სოფლების მოსამსახურე ფარმაცევტები ხმას არ ვიღებთ. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ მართლა კმაყოფილი ვართ და შეკავშირება ჩვენთვის საჭირო არ არის? შეიძლება ერთმანეთის სიშორე და მოუცლელობა გვიშლიდეს ხელს. სწორეთ ეს უკანასკნელია მიზეზი, თორემ თითო თვეობით ოთხკედელ შუა ჯდომა ყოველგვარ ზნეობრივ და გონებრივ დაწესებულებებს მოკლებული, ნამეტურ კაცს, ჩვენის აზრით ძნელი ასატანია. ამას მიუმატეთ სასმელ-საჭმელის და ბინის უვარგისობა, ჯამაგირების სიმცირე და ნათლათ დაგეხატებათ მოსამსახურე ფარმაცევტების სურათი. მოგეხსენებათ, დღემდე პროვიზორების (?) ზრუნვამ დარიმებული დრებს დაუმორჩილა და უსულო მანქანათ გადააქცია; რაც უფრო გაჭირვებულ ბნელ ქვეყნებში ჩავრდებით, ათჯერ სურს შენი შრომა ნაკლებათ იყიდოს, ამისთვის არ ზოგავენ არავითარ ხრიკებს. დაბა-სოფლის მაფითიაქეში—მ შედარებით პატარა ბურჟუებმა, დაინახეს რა უეჭველი ფარმაცევტები,—ხალი ფასი ჩაიგდეს მათი შრომა ხელში და ეს ჩვენთვის აუტანელს. და მათთვის სასიამოვნო მდგენას ბოლო არ მოეღება იქამდის, სანამდის არ შევკავშირდებით და ჩვენს დამქირავებლებს ადამიანურ პირობებს არ მოვთხოვთ. ამხანაგებო! ჩვენც ნუ ჩამოვრჩებით ჩვენ ამხანაგ მუშებს უკან და ამ განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მივიღოთ. დარწმუნებული იყავით გამარჯვება ჩვენი იქნება.

დონ—ნარი.

**ხელოვნურ წყლების ქარხნების „ზარია"-ს, „გენათ"-ის და „ვოსტოკ"-ის მუშათა ცხოვრებიდან.** ძვირათ მოიპოებიან თფილისში ისეთი მუშები, რომლებიც ჩვენზე უფრო აუტანელ პირობებში ცხოვრობდნენ. თავისუფლების დროს ჩვენი ხაზეინები შეგვპირდნენ მოთხოვნილებების შესრულებას და რამოდენიმე კიდევაც შეგვისრულეს, მარ, დადგა თუ არა რეაქცია, პირი იბრუნეს და ისევ ძველებურ კალაპოტში ჩადგნენ. ვმუშაობთ დღეში თორმეტ-თორმეტ საათს; ჩვენთვის არ არის არც დასვენება, არც ადამიანური მოპყრობა. ჩვენი სადგომები ყოველგვარ ჰიგიენურ ღირსებას მოკლებულია. ჯამაგირი ხომ იმდენი გვაქვს, რომ პურის ფულათ ძლივს გვყოფნის და ცოლშვილი კი შიმშილ ტიტვლები გვრჩება. ყველა ამათთან კონდუქტორები მზათ არიან, თუ ეს ხაზეინებს დასჭირდა, კუჩრებს მეტოქეობა გაუწიონ და მათი მოვალეობა თვითო იკისრონ. აი სანამდის მიდის შეუგნებლობა. მასთან ზრდილობიან მოპყრობას რა თავი უტკივა, მარა ამაშიაც კონდუქტორები თითქოს ჩვენს უფროსებს ეჯიბრებიან.

ჩვენ ამ დღეებში შევიმუშავეთ მოთხოვნილებები, რომლებსაც ვუდგენთ ჩვენს ხაზეინებს და მოვითხოვთ მათ აუცილებლათ დაკმაყოფილებას.

აი ჩვენი მოთხოვნილებანი:

1) ცხრა საათის სამუშაო დღე.

2) დასვენება საუზმისათვის დილის ცხრა საათზე—ნახევარი საათით სადილისათვის შუადღის პირველ საათზე—ერთი საათით. მუშაობა უნდა დაიწყოს დილის 6 საათზე და გათავდეს ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე.

3) მიეცეს ხელოსნებს თვეში ორმოცი მან.

4) მოუმატოს ქარა: ვისაც ხუთმეტი მანეთი აქვს 40 პროც., ვისაც 20 მანეთი 30 პროც. და ვისაც 25-30 მან. აქვს 20 პროცენტი.

5) მიეცეს დღიურ მუშებს დღეში 90 კაპ.

6) დათხოვნა და მიღება მუშებისა თვით მუშების საქმეა. თექვსმეტ წლზე ნაკლები მუშათ არ მიიღება.

7) ზრდილობიანი მოპყრობა.

8) სახლში გაშვება წელიწადში ერთი თვით, ადგილის და ჯამაგირის შენახვით.

9) ავათმყოფობის დროს უფასო ექიმობა ორი თვით ადგილისა და ჯამაგირის შენახვით.

10) ჯამაგირის დარიგება თვეში ორჯერ 15 და 30 რიცხვში, მაგრამ მუშაობის დროს.

11) უქმეების წინა დღეებში მუშაობა უნდა შეწყდეს ნაშუადღევის ორ საათზე.

12) მიეცეს „კუჩრებს" თვეში 25 მანეთი 20 პროცენტით; აგრეთვე მიეცეს მათ კონდუქტორებისგან პროცენტების მესამედი.

13) როდესაც კონდუქტორები არ გადიან სამუშაოთ, იმ დღეს მიეცეს „კუჩრებს" კონდუქტორებისაგან პროცენტების ნახევარი.

14) კონდუქტორებს არა აქვთ უფლება იკისრონ კუჩრების მოვალეობის შესრულება და ბრძანების კილოთი მიმართონ მუშებს.

15) მიეცეს მუშებს ჰიგიენურათ მოწყობილი ბინები.

16) თუ კონდუქტორები არ დათანხმდებიან მისცენ კუჩრებს ზემო აღნიშნული პროცენტები, იმ შემთხვევაში კონდუქტორები ვალდებული არიან დაიქირაონ გადამტვირთ-გადმომტვირთავი მუშები.

და 17) კონდუქტორები და კუჩრები ვალდებული არიან დარჩნენ ქარხანაში სალამოს ექვს საათზე უსათუოთ.

ამხანაგი.

**პასუხი სამრევლო სკოლის მასწავლებელს.**

„ცნობის" მე 30 №-ში მოთავსებული იყო ბ-ნ დროებით ხორშლის წერილი, რომელშიაც დასურათებულია სამრევლო სკოლების მასწავლებლების მდგომარეობა. როგორც დავსწერთ, ისე ადმოსავლეთ საქართველოში სამრევლო სკოლების მასწავლებლების მდგომარეობა ყოველ მხრივ შევიწროვებულია. მასწავლებლებს სკოლის საქმეში არავითარი უფლება არა აქვთ და იძულებული არიან სულიერ „მამებს" ყველაფერში უსიტყვოთ დაემორჩილონ. სკოლების ყოველმხრივი მართვა-გამგეობა, სულიერათ და ხორციელათ, ამ თავისებური „ხაზეინების" და გათახსირებული ბიუროკრატიის ბასრ ბრჭყალებშია მოთავსებული. ასეთი სკოლები, რასაკვირველია, გათახსირებულ და გონჩოგრენებულ მასწავლებლებით, ნამდვილ, ცხოვრების შესაფერ სწავლა-აღზრდას არ აძლევს ბავშვებს და არც შეუძლია მისცეს, სანამ საქმის გითარება ასეთ კალაპოტში იქნება ჩაყენებული. ამიტომაც კარგა ხანია, რაც გრევოლიუციონერებულმა ხალხმა და მასწავლებლმა ბავშვებმაც კი დაგმეს ასეთი სკოლები, ბევრგან კიდეც დაკეტეს და ნამდვილი მასწავლებლები ცივათ გამოასტუმრეს.

სამრევლო სკოლის მასწავლებელს ხმა საჯაროთ ახასიათებს მისი ამხანაგების გათახსირებულ სულიერ მდგომარეობას. ის აუწყებს, ნაციონალურ ღმობიერებით აქედრება საზოგადოებას, რომ ჩვენც ვარსებობთ, მასწავლებლის საპატიო სახელს ვატარებთ და რადგანაც ჩვენი ინტერესების დაცვა ჩვენვე ვერ მოგვიხერხეთ, ამიტომ ჩვენზედაც იზრუნეთ, ხელი გამოგვიწოდეთ და სიტყვით მაინც გვამხნევეთ, და ეს იმ დროს, როდესაც რევოლიუციის დიდებული მომენტი კარზე მოგვადგა, რომელიც ყველა შეგნებული და ხალხის გულ-შემატკივარი ადამიანისაგან მოითხოვს გარკვეულ ფხიზლობას, შეუპოვარ თვითმოქმედებას და შეუდრეკ ბრძოლას. სრულებით შეუფერებელი გამოძახილია, რომელიც დაისმის ახლანდელ რევოლიუციონურ ხმებში!

რევოლიუცია სხვებთან ერთათ თქვენც გარკვევით გაჩვენებს და ნათლათ გიჩვენებს, რომ სანამ თვითმპყრობელი ბიუროკრატია ძირიანფესვიანათ არ ამოიფხვრება, რომელიც მთელ რუსეთის ცხოვრებას და კერძოდ სკოლასაც წამლავს, მანამ არც თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესდება. ბიუროკრატიის ძალ-მომრეობა, ბოროტება და უსამართლობა კი ღმობიერათ გამოძახილი ხმებით და თხოვნებით თავის-თავათ არ მოისპობა. ის უნდა ძალით შემუსროს. ხალხმა უკვე წამოაყენა და გააძლიერა ასეთი ძალა, თავის საშუალ წარმოშობა მისთვის თავდადებული მებრძოლნი, რომლებთა შორის ბევრი თქვენი ნაამხანაგრებიც არიან. ხალხს მხოლოდ ესაჭიროება ჭეშმარიტი მასწავლებელი, რომელიც ასე თუ ისე ეცდება დუხჭირი ცხოვრებიდან გამოიხსნას იგი და ნათელ გზაზე დააყენოს. მას მათხოვარი და გონება დაბნეული ნახოვნიკი—მასწავლებელი არ ესაჭიროება.

კარგი იქნება, რომ თქვენ და თქვენი ამხანაგები დღევანდელ მომენტში მაინც ბიუროკრატიულ-ნახოვნიკურ ტყავს გამოიცვლიდეთ, დროის შესაფერ ძალ-ღონეს მოიკრეფავდეთ, მებრძოლ ხალხს დაეხმარებოდეთ და თავისუფლებისაკენ გზას გაუნათებდეთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ საზოგადოების სიმპატია დაიმსახუროთ და ხალხის ინტერესებთან ერთათ თქვენი ინტერესებიც დაიცვათ.

ყოფილი გორელი მასწავლებელი

# რუსეთი

**მოსკოველ მუშების პასუხი დეპუტატ მუშების მანიფესტზე.** „კურიერში" დაბეჭდილია: „ჩვენ, ქალაქ მოსკოვის შემდეგ ფაბრიკების (ჩამოთვლილია 20-ზე მეტი ფაბრიკა) მუშებმა შევიყარეთ თავი 2000 კაცამდე, განვიხილეთ რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და ვუძღვნით ამხანაგურ სალამს სათათბიროს მუშათა ჯგუფს მხნე და შეუდგარ ბრძოლისათვის საზიზღარ მთავრობის, თვითნებობის და ძალმომრეობის წინააღმდეგ და ამასთანავე აღვუთქვამთ მას დახმარებას თვითეულ გამოსვლაში დახავსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ... პროტესტს ვაცხადებთ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ! პროტესტს ვაცხადებთ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც უტიფრათ დასცინის თავისუფალ ცხოვრებისათვის მებრძოლ ხალხს. მოვითხოვთ დაუყონებლივ ყველა თავისუფლებისთვის მებრძოლის განთავისუფლებას და სამხედრო დროის და გაძლიერებულ დაცვის წესების გაუქმებას".

**ამბოხება ჯარში.** „ნაროდნი ვესტნიკ" შემდეგი დეპეშები მიუღია კურსკიდან 22 მაისს: 1) ამ წუთში სატუსაღოს მახლობლათ, ჯარის ბანაკში, ხდება კურსკის გარნიზონის 3 პოლკის (რამოდენიმე ათასი კაცი) მიტინგი. იძუშავებენ მოთხოვნილებებს. ჩაგონება და ძუქარა არ მოქმედობს. მიტინგს კაზაკები შემოარტყეს. ქუჩებში აუარება ჯარის კაცებია. ქალაქი ძლიერ აღელვებულია. 2) ამბოხების დასაცხრობათ 100 კაზაკი მოითხოვეს ფატეჟიდან. მიტინგზე პოლკოვნიკს სცემეს. სალდათებისათვის ხელ-ახალი მიტინგია დანიშნული. აგიტატორები არ გაუციათ. 19 მაისს ღამით კაზარმებში მოვიდა ათი ჟანდარმი, გაჩხრიკეს ყველაფერი, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს. ჯარში დიდი უკმაყოფილება სუფევს.

დაატყვევეს ციხის არტილერიის მრავალი ჯარის-კაცი; დაპატიმრებულები ვიბორგში გაგზავნეს. დაატყვევეს 20 ჯარის-

კაცი პროპაგანდისა და ნებადაურთველ კრებებზე მონაწილეობისათვის.

**მიტინგები.** სტავროპოლში, სახალხო სახლში გამართულა მიტინგი, რომელსაც 1000-მდე კაცი დასწრებია. მიუღიათ რეზოლიუცია, რომელიც ზიზღს უცხადებს მთავრობას მთელი ხალხის უკიდურეს მდგომარეობამდე მიყვანისათვის, მოითხოვს ეხლანდელ სამინისტროს დაუყოვნებლივ დათხოვას, მათ სამართალში მიცემას. სათათბირომ—ამბობს რეზოლიუცია—უნდა მოითხოვოს სრული ამნისტია, სიკვდილით დასჯის და განსაკუთრებულ კანონების გაუქმება, თავისუფლება, სამუშაო უსაქმოდ დარჩენილთათვის და პური დამშეულთათვის.

— იალტისა და ალუპკის ახლო იმართება მიტინგები, ყველგან ერთი ხასიათის რეზოლიუციებს იღებენ: მივმართოთ „მშრომელ ჯგუფს" განცხადებით, რომ ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავუჭერთ მას მხარს, თუ ის მშრომელ გლეხობის, პროლეტარიატის და მშრომელ ინტელიგენციის ინტერესების დამცველი გამოვა. ამას გარდა რეზოლიუცია მოითხოვს ჯგუფისაგან რევოლიუციური საშუალებებით იბრძოლოს მან დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის.

23 მაისს, ობუხოვის ქარხანაში, გამართულა მიტინგი, რომელზედაც 3000 მუშა ყოფილა. მიტინგმა ძალიან ცოცხლათ ჩაიარა. კრებამ ერთხმათ მიიღო რ. ს.-დ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიერ შემუშავებული რეზოლიუცია.

**სათათბირო და ჯარი.** სათათბირო თურმე ძლიერ აინტერესებს პეტერგოფში ჯარებს; ჯარის კაცები თვალყურს ადევნებენ სათათბიროს მოქმედებას. ჯარის კაცები ხალხის წარმომადგენლებს თანაუგრძნობენ.

**კაზაკები და მატროსები.** ამ დღეებში კრონშტადტში მოსულ კრეისერ „გრომობოი"-დან ნაპირზე გადასულა ერთი მატროსი, იქ კაზაკები შეხვედრიათ და ძლიერ უცემიათ მატროსისთვის. მთელი გემის მატროსები ააშფოთა კაზაკების ქცევამ; გაჯავრებულმა მატროსებმა მთელი გემის ზარბაზნები დაუმიზნეს ქალაქს და გამოაცხადეს: თუ კაზაკები ქალაქიდან არ გაიყვანეს, ვესვრითო. კაზაკების ნაწილი იმ წამსვე გაიყვანეს ქალაქიდან, ხოლო „არა-კეთილ-საიმედო" მატროსები ნაწილ-ნაწილ სხვა გემებზე გადაიყვანეს.

**მთელი ტომის თავის ამოხოცვა შიმშილობის გამო.** აღმოსავლეთ ციმბირში, მდინარე ომოლონასა და ოპოის ნაპირებზე სცხოვრობდა ჩუკჩების ტომი. ამ ბოლო დროს მათი მდგომარეობა საშინლათ გამწვავდა. მათ ირმებს ჭირი დაერია და დაიხოცენ; არავითარი ცხოვრების სახსარი აღარ გააჩნდათ; და აი, დარწმუნდენ თუ არა ჩუკჩები შიმშილით სიკვდილის აუცილებლობაში—გადასწყვიტეს თვითონვე მოეღოთ თავის თავისთვის ბოლო: დაადგინეს, რომ თვითეულ ოჯახის მამას ჯერ თავისი ოჯახი ამოეხოცა, შემდეგ კი თავიც მოეკლა. როგორც რუსეთის გაზეთებს ატყობინებენ ეს საზარელი დადგენილება სისრულეშიც მოუყვანიათ ჩუკჩებს.

**დეპუტატების გამგზავრება ვლადივასტოკიდან.** დეპუტატების ქალაქიდან გამგზავრება უშველებელ დემონსტრაციათ გადაიქცა, მიტინგში ორი ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას, ამ მიტინგზე სოციალ-დემოკრატებმა გიდასცეს დეპუტატებს თავისი დაბარება, რომელშიაც მოითხოვენ მათგან დამფუძნებელ კრების და ამნისტიისათვის ბრძოლას.

**აგრარულ მოძრაობასთან ბრძოლა.** შინაგან საქმეთა მინისტრს გადაუწყვეტია მოიწვიოს პეტერბურგში ზოგიერთი გუბერნატორები და მათთან ერთათ გამოძებნოს საშუალებანი აგრარულ მოძრაობის თავიდან ასაცდენათ.

**დეპუტატი მუშები პოლიციის მხედველობის ქვეშ.** შინაგან საქმეთა მინისტრს ბრძანება გაუცია, მინისტრთა საბჭოს აზრის თანახმათ,—განსაკუთრებულათ თვალყური ადევნონ დეპუტატ-მუშებს, რომლებმაც მუშათა მიმართ მანიფესტს ხელი მოაწერეს.

**ბნელი ძალები.** ამას წინათ ჩვენ მოგვყავდა ცნობები იმის შესახებ, რომ რუსეთის მრავალ ქალაქებში ბნელი ძალები—„რევოლიუციის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლნი", „შავრაზმელები" და სხვა გაფაციცებით ემზადებოდენ ბრძოლისათვის. ისინი განაგრძობენ მზადებას რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ, მაგრამ ცოტათი განზრახვანი გამოუცვლიათ: ეხლა ახლო მომავალში აქტიურათ გამოსვლას აღარ აპირობენ. როგორც, თურმე, თვითონ ირწმუნებიან, ივნისის დასაწყისში მიიღებენ ისინი ცნობას ვისგანაც ჯერ არს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცენ. მაშინ გამოირკვევა, როდის და როგორ საჭირია მათ მოქმედება.

**გლეხობა და სათათბირო.** სათათბირო თავის როლს—ხალხის, უმეტესათ გლეხობის, რევოლიუციურ შეგნების წინ-წამწევის როლს საუცხოვოთ ასრულებს. მთავრობის დეკლარაციამ მაინც განსაკუთრებული სამსახური გაუწია რევოლიუციას. მთელი რუსეთის გლეხობა, მართალია ნაწილ-ნაწილ, განცალკევებულათ, მარა მაინც აღელდა. გლეხთა დეპუტატებს ყოველ-დღე მოსდის დეპეშები და გლეხებისგან გამოგზავნილი კაცები. ეს დეპეშები და შიკრიკები ატყობინებენ გლეხების აღშფოთებას მთავრობის დეკლარაციის წინააღმდეგ, მადლობას უცხადებენ მათ მთავრობასთან ბრძოლისათვის და აღუთქვამენ მათ ენერგიულ დახმარებას ამ ბრძოლაში.

ასეთი შინაარსის დეპეშები მიუღია დეპუტატ ალადინს 22 მაისს სიმბირსკიდან, ყაზანიდან, სოფ. პეჩერსკიდან, სოფელ ბერეზნიაკიდან და სხვ. ასეთივე დეპეშები მოსდის სხვა გლეხ-დეპუტატებსაც ყოველ დღე.

გლეხების ერთ შიკრიკს იმედი დაუკარგავს სათათბიროზე და გადაუწყვეტია ხელმწიფეს მიმართოს თხოვნით, გამგზავრებულა კიდეც ცარსკოე სელოში თხოვნის მისაცემათ. მაგრამ აქ ის შეუპყრიათ; უნდოდათ მისი ეტაპით სახლში გაგზავნა; მხოლოდ მუდარით და მუხლ მოდრეკით დაუხსნია საწყალის თავი. ეხლა ეს შიკრიკი გამგზავრებულა სამარის გუბერნიაში, რომ შეატყობინოს გლეხებს, თუ როგორ მიიღეს მისი თხოვნა.

**აგრარული მოძრაობა.** ტულის გუბერნიის ეპიფანეს მაზრაში მომხდარა მიტინგი, რომელსაც 8000 გლეხი დასწრებია. ამ მიტინგზე გლეხებს შეუმუშავებიათ მემამულეთა მიწების დაყოფის პლანი. ეს იმ შემთხვევისთვის, თუ სათათბირო ვერ მოუპოვებს მათ მიწას. ბელევის მაზრაში გლეხებს გადაუწყვეტიათ არ იმუშაონ მემამულეების მიწაზე.

— პოლტავის გუბერნატორს მიუმართავს თხოვნით შინაგან საქმეთა მინისტრისთვის პოლტავის გუბერნიაში სასოფლო „სტრაჟნიკთა" რაზმის გაძლიერების შესახებ. მინისტრს უპასუხნია, არავითარი ღონისძიება არ უნდა დავიშუროთ აგრარულ მოძრაობასთან ბრძოლაში, ვეცდები დავაკმაყოფილო თხოვნაო.

# უცხოეთი

**არჩევნები დანიაში.** ამ ხანებში დანიაში მოხდა პარლამენტის ქვედა პალატას (ფოლსტინგის) არჩევნები, რომელიც დასრულდა სოციალდემოკრატების გამარჯვებით: 17 დეპუტატის მაგიერ, რომელიც ყავდა მუშათა პარტიას უწინდელ პალატაში, ეხლა 24 წარმომადგენელი ეყოლება, ასე რომ, სულ სოციალდემ. პარტიის დეპუტატები ფოლსტინგში ეხლა შეადგენენ 21 პროცენტს (სულაა 144 წევრი).

დანიის სოც. დემ. პარტია შესანიშნავათ იზრდებოდა პარლამენტში. მაგალითად, 1884 წ. მას ყოლია ფოლსტინგში 2 დეპუტატი, 1892 წ.—4, 1895—8, 1898 წ—12, 1901—14, 1903—16 და ეხლა კი 1907—27. ამ უკანასკნელ სამ წელიწადში კი პარტია ძალიან გაძლიერებულა, რადგან ეხლანდელი გამარჯვება უფრო სერიოზულია უწინდელზე.

ეს გამარჯვება კიდევ იმითაა შესანიშნავი, რომ სხვა ზომიერმა პარტიებმა დაკარგეს ის 8 ხმა, რომელიც ეხლა მუშათა პარტიამ შეიძინა. მაგ. ზომიერ-რადიკალებს მემარცხნე რადიკალებთან ერთათ ეხლა ყავთ 64 დეპუტატი უწინდელ 72-ის მაგიერ.

**არჩევნები ბელგიაში.** ბელგიაში არჩევნები მოხდა 17 (27) მაისს.

ბელგიაში დეპუტატთა პალატა (სულ 160 კაც.) მუდამ, ორ წელიწადში ერთხელ აახლებს თავის წევრების ნახევარ რიცხვს, წელს უნდა აერჩიათ 85 დეპუტატი. აქედან კათოლიკებს ეკუთნოდენ—54, ლიბერალებს—20, ქრისტიან-დემოკრატებს—1 და სოციალ-დემოკრატებს—10. არჩევნების შედეგი ასეთია: კათოლიკები აირჩიეს—51, ლიბერალები 23, და სოც. დემოკრატები კი 11.

თუმცა კათოლიკებმა დაკარგეს 4 დეპუტატი, მაგრამ უმრავლესობას პარლამენტში მაინც ისინი შეადგენენ, ასე რომ ლიბერალების ხელში მთავრობის გადასვლა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა.

---

## „მშრომელს"— ღია წერილი

გაზეთი „ლამპრის" მე 32 ნომერში მოთავსებულია თქვენი წერილი ტრამვაის კანტროლიორთა შესახებ; თქვენ ასახელებთ იმ კანტრალიორთა გვარებს, რომელთაც შეეხებოდა თქვენივე პირველი წერილი („ლამპარი" № 30). მე ვერ გამიგია რისთვის დაგჭირდათ ჩემი პიროვნების გაზეთის საშუალებით შეურაცხყოფა და იმედია საბუთებიც გექნებათ ბრალდების დასამტკიცებლათ. მე საჭიროთ ვცნობ საამხანაგო სამართალმა გაარჩიოს თქვენი ბრალდება და სიმართლე აღადგინოს.

მაშ იმედი მაქვს საამხანაგო სამართალს არც თქვენ შეაქცევთ ზურგს.

კანტროლიორი არშაკ სიმონოვი

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ალაგი დაუთმოთ „ლამპარში" შემდეგ ჩემს წერილს. გაზეთ „ლამპრის" მე-29 ნომერში მოთავსებული იყო წერილი, სადაც კორესპოდენტი შრომის შვილი ეხება ჩემს ვითომდა საზიზღარ საქციელს ჩემს ნოქრებზე—დათხოვნით, უწესო მუშაობით და სხვა—მეორე წელიწადია არც ნოქარი დამითხოვნია და არც ახალი შემიძენია, რის დასამტკიცებელი საბუთები არიან იგივე ჩემი ძველი ნოქრები, და რასაც ბატონი შრომის შვილი მამხილებს სიმართლეს მოკლებულია.

ალექსანდრე აივაზოვი.

—

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ ჩემი პასუხი. „ლამპრის" 29 ნომერში მოთავსებული იყო ვითომ მიხეილ აჯიმამუდოვი ცუდათ ექცეოდეს ბიჭებს და აგინებდეს. ეგ ცილის წამება არის. შეიძლება მაგის დამწერს ჩემთან შურის ძიება აქ რამე და მომიგონა ტყუილათ, მაგისთანა საქციელი, რომ შური ეძია ჩემ თვის. რაც შეეხება ღვინოების ზიდვას უარს არ ვამბობ· ესეც როგორ ყოფილა. ახლო მახლო მუშტრები მყავს, იმათ მიაქ ხოლმე ორ-ორ სამ-სამი ბოთლი და მითქომ ჩემი ბიჭებისთვის და წაუღიათ; და არც უარი უთქვამთ. თავიანთივე ნებით ყოფილა და მე ძალით არ დამისაქმებია რაიცა შემიძლიან დავატკიცო ჩემი ბიჭებისავე პირით. რაც შეეხება ლანძღვა გინებასა ვსთხოვ ჩვენ ამორჩეულ პირთ პადვალჩიკების მხრით, დანიშნონ რამდენიმე კაცი და განიხილონ ის შესარცხვენი საქმე რაც მე ჩამიდენია და მსჯავრი დამდონ როგორც დამნაშავეს. სხვა ფრივ პატივ-ცემული საზოგადოება ვერ დარწმუნდება რომ მე მართალი ვარ.

მიხაკო აჯიმამუდოვი

—

გთხოვთ უმორჩილესათ ნება მიბოძოთ, თქვენის გაზეთის საშვალებით, პასუხი გავსცე, იმ პატარა წერილის ავტორს, რომელიც ბორჯომიდან სწერს გაზეთ „ლამპრის" მე 26 ნომერში, 21 მაისს. ავტორი, თავის პატარა წერილის ბოლოს არაფერს არ აწერს. მხოლოდ ისეთის სიტყვით ეხება ჩემს პირადობას, რომელიც დამამცირებელია ადამიანისათვის. აი მისი სიტყვები: ვითომც მე, ვინმე პ. მეტრეველმა, განვიძრახე ბორჯომის საქონლის სადგურის იჯარით აღება, იქაური შეგნებული მუშების განდევნა და ხულიგან მუშების მიყვანა რომლებსაც, ავტორის სიტყვით, უფრო ადვილათ გავაძრობ ტყავს. ასეთს ცილის წამება ავტორისაგან სიმართლეს მოკლებულია და მე კი ჩემი ამხანაგებით იძულებული ვარ დამამცირებელ სიტყვების გამო, გამოვამჟღავნო ყოველი საქმე ასე იყო მე, და ჩემი ამხანაგებს, თორმეტი კაცს გვქონდა აღებული ალექსანდრეპოლის საქონლის სადგური. ჩვენ, არც მოიჯარადრე გვყოლია და არც არავინ, მხოლოდ ჩვენ შევადგინეთ არტელი; საერთო გაფიცვის დროს არ ჩამოვრჩით სხვა ამხანაგებს და გულმხურვალეთ მივიღეთ მონაწილეობა გაფიცვებში, რომლითაც შევაჩერეთ მთელი სადგურის მუშაობა. გათავდა გაფიცვები თუ არა, ჩვენი არტელი დაუბრუნდა ძველ სამუშავოს, მაგრამ იქიდან გაგვდევნეს. საქონლის სადგურის უფროსმა პაველიკოვმა ჩვენი საქმე სხვას, გადასცა სამაგიეროთ საქმე მოგვცეს ბორჯომში, მხოლოდ მოგვთხოვეს ზალოგის წინ და წინ შეტანა. მეტი რა გზა იყო, ჩვენ, როგორც სხვა ხელობის არა მცოდნე მუშებმა, ზოგმა ნათესავებისაგან ზოგმა ნაცნობებიდან ავიღეთ ვალათ ფულები და წარვადგინეთ ზალოგი 700 მანეთი. ამის შემდეგ მე ამხანაგების თანხმობით 1 მაისს წაველი ბორჯომში ამბავის გასაგებათ. იქ ვნახე მუშები, რომლებსაც უკვე გაეგოთ სამუშაოს ჩვენზე გადმოცემა. მე იმათ შევატყობინე, საქონლის სადგური ჩვენ ავიღეთ მეთქი. იქაურმა მუშებმა ასთე მიპასუხეს, ჩვენ მოიჯარადრე არ გვჭირდება, ჩვენ თვითონ კარგათ ვუძღვებით საქმესო, ჯერ სხვა სადგურიც თუ გაიცემა იჯარით შემდეგ თქვენც შეგიძლიანთ აიღოთო. ამ სიტყვებზე მე ასე მივმართე იქაურ მუშებს. ამხანაგებო, ჩვენ პოდრიაჩიკი კი არა ვართ, არამედ ისეთივე მუშები, როგორიც თქვენახართ-მეთქი. ამაზე მუშებმა მიპასუხეს, როდესაც სხვა სადგურებს გადასცემენ იჯარით, მაშინ შეგიძლიანთ იმუშაოთო. მეც, დავიჯერე და უკან წამოვედი მეტი ჩვენს შორის არავითარი ამბავი არ მომხდარა. მე ჯერაც არ ჩამიბარებია სადგური, მხოლოდ ველოდები იქაურ მუშებისაგან პასუხს, მიგვიღებენ თუ არა. სამაგიეროთ ამისა გაზეთში გვაცნობეს საზიზღარი სიტყვები, რომელიც დამამცირებელია ყოველი პატიოსანი ადამიანისათვის. ჩვენ 12 კაცს ვალები თავზე გვატყდება და უფრო მწარე დღეები მოგველის. არა მგონია, რომ ამას ყურადღება არ მიაქციონ ბორჯომის მუშებმა, თუ კი ისინი ს.-დ. არიან და შეგნებულ მუშების ნაწილს ეკუთვნიან. იმედი მაქვს ხელს შეგვიწყობენ, რამდენათაც შესაძლებელია, ჩვენს მოსალოდნელ ცუდ მდგომარეობას. ამასთან ვთხოვ იმ ამხანაგს, რომელსაც თავის პატარა წერილში ხულიგანის სახელით მომნათლა, ვითომც მუშებიც ხულიგანი მომეგროვებიოს და შეგნებულ მუშებს ლუკმა პურს უსპობდე, გამობრძანდეს საამხანაგო სამართალში და ეს დამიმტკიცოს: რამდენათაც ეს მართალი იქნება, იმდენათ მსჯავრი დამდვან, მე კი სიმართლეს დავამტკიცებიებ ალექსანდროპოლის ორგანიზაციას, რომელმაც კარგათ იცის, თუ რას ვემსახურები.

პ. მეტრეველი.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

28 მაისი.

**ვასილკოვი.** დაატყვევეს გაზ. „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი ზაიცევი და მეჩჩანინი კოენმანი.

**ბათუმი.** მუშათა რწმუნებულებმა აირჩიეს ამომრჩევლათ მუშა სოციალდემოკრატი. საოლქო კრებისთვის ამოირჩიეს 5 ს.-დემოკრატი 17 ამომრჩევლიდან, რომელთა უმეტესობა პარტიის გარეშე მყოფია.

**ბელოსტოკი.** ღამით „სოსნოვაია" ქუჩაზე ჯაშუშებს რევოლვერები დაუშინეს. მძიმეთ დაიჭრა პოლიციელი შეიმანი. დამნაშავეები მიიმალენ.

**ყაზანი.** სამოსამართლო პალატამ გაამართლა მწერალი გლებოვი, მასწავლ. ბურეგი, ლესკინი, იაგოდკინი და მუშა სიჩკოვი, რომელთაც აკრძალული ლიტერატურის შენახვა ბრალდებოდათ.

**პოლტავა.** სოფელ ხოროშკაში გლეხმა გოლობოროდკომ ხანჯლით მოკლა „სტრაჟნიკი" ბუტენკო. მკვლელი დაიჭირეს.

29 მაისი.

**კუსტანაი.** სახელმწიფო სათათბიროს წევრათ ტურგაის ოლქში აირჩიეს გლეხი დიხნიჩა (კადეტი).

**ვინდავა.** ქალაქში გააკრეს გამოსაჩენ ადგილზე სამინისტროს პასუხი ადრესზე.

**ბერნი.** ფსიხიატრულ საავადმყოფოდან გაიქცა ილინსკი, რომელმაც ამ ორი წლის წინად რუსეთის ელჩს ესროლა.

**ადესა.** დაიწყო გემების მიმოსვლა ხერსონის და ნიკოლაევის ტოტებზე. გემების პატრონების და კომანდების მოლაპარაკება თავდება.

**ვარშავა.** „ტოკარნაია" ქუჩაზე მოკლეს სალდათი არტილერისტი.

**სედლეცი.** 18 წლის ებრაელმა რევოლვერით დასჭრა ოსტროლენსკი პოლკის კაპიტანი გოგოლი. დამნაშავე დაიჭირეს.

**დანკოფი.** სტახოვიჩის მამულში გლეხებმა დასწვეს საქონლის ბაკი.

**სედლეცი.** საღამოს 10 საათზე გრინბერგის სახლთან რევოლვერებით დასჭრეს ქალაქის პრეზიდენტი პოლკოვნიკი მიროვიჩი, გუბერნატორის კანცელარიის მმართველი ხვოშჩენკო, პოლიცმეისტრის საქმის მწარმოებელი მურავსკი. მიროვიჩი გარდაიცვალა.

**პეტერბურგი.** დღეს პეტერგოფის მოედანზე ლეიბ-გვარდიის დრაგუნთა პოლკის ვარჯიშობა გამართეს. დაესწრენ ხელმწიფე და დედოფალი.

**ვენა.** გუშინ მუნიციპალიტეტში მოხდა კრება. კრებაზე უნდა განეხილათ უნგრეთის კითხვა, დაესწრო 10,000 კაცი. კრებაზე მიიღეს რეზოლიუცია უნგრეთის წინააღმდეგ. შემდეგ კრების დიდი ნაწილი გაემართა უნგრეთის სამინისტროსკენ, სადაც დემონსტრაცია მოახდინეს. პოლიციამ გარეკა მანიფესტანტები. ავსტრიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბოდიში მოიხადა უნგრეთის დელეგაციის წინაშე.

**მოსკოვი.** გაძარცვეს ტიხვინის ღვთის მშობლის ეკლესია. წაიღეს ჰურჭლები, ჯვრები და 500 მან. სანთლის ყუთიდან.

**მოსკოვი.** გუშინ საღამოს „დევიჩი პოლე"-ზე რევოლიუციონერებმა დემონსტრაციის გამართვა მოინდომეს. შეწყვიტეს მუზიკა და ესტრადიდან სიტყვების წარმოთქმა დაიწყეს. იმათ და ბრბოს შორის შეტაკება მოხდა. პოლიციამ წესიერება აღადგინა. რამოდენიმე დაატყვევეს.

**ეკატერინობურგი.** ღამით ორი შეიარაღებული საზოგადო საკრებულოს დარბაზს თავს დაეცენ. შეკრეს კასირში და 10.000 მან. გაიტაცეს.

**დურბანი.** ინგლისის რაზმმა აჯანყებულები საშინლათ დაამარცხა. მოუკლეს სარდალი და 210 აჯანყებულთაგანი.

**კოსტრომა.** კინეშმსკის ციხიდან გაიქცა 7 ტუსაღი. 4 დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** სათათბირო. კრება გაიხსნა 11 საათ. 40 მინ. თავმჯდომარე მურომცევია. მოისმინეს მინისტრის შეკითხვა, რომელიც საჩქაროთ იქნა ცნობილი. შეკითხვა მიიღეს. დანარჩენი შეკითხვები კომისიას გადასცეს. სიტყვა წესრიგისთვის აიღო ვოზოვიკმა (ეკატერინოსლავი). იმან განაცხადა, რომ სათათბირო აგერ ერთი თვე მუშაობს და ჯერ კი არც ერთი კანონპროექტი არ შეუმუშავებია. მარტო აგრარული საკითხი ივნისის ბოლომდის გაგრძელდება. გაზეთებში კი ხმა გავრცელდა, რომ სათათბიროს 15 ივნისს ვენო. ამიტომ ის წინადადებას დაადგინოს სათათბირომ, რომ ის არ შლება, სანამ კანონ-პროექტები ერს თავისუფლებებზე, თანასწორობაზე და კვდილით დასჯაზე დასრულებული არ ნება. თავმჯდომარე ორატორს შენიშნავს... შემდეგ დუმა ნაკაზის ბის განხილვას შეუდგა. გრაფ გეიდენს პროფ. შჩეპკინის შორის ცხარე გაიმართა. შჩეპკინი ამტკიცებს, რომ პროექტები უნდა შეიმუშავოს კომ რომელიც უმრავლესობიდანაა ამორჩ გეიდენი ამბობს, უმცირესობის ინტე ბი არ უნდა დავივიწყოთ. როდესაც ვიქნები სათათბიროს უმრავლესობის მომადგენელი მაშინ შჩეპკინს უფრო ლათ მოვეპყრობი. მოვაგონებ მას, ძველ რომში ტრიუმფატორს მუდამ მისდევდა კაცი, რომელიც მას აძა რათა ის ნამეტანი არ გადიდგულ ყო (ტაშის ცემა), გეიდენის წინა უარყვეს. კრება შეწყდა.

**პეტერბურგი.** სათათბირო. გრძელ ნაკაზის განხილვა.

კრებამ მიიღო რომ საპიუდეტო მისია საზოგადო კრებაზე უნდა აირჩ სათათბირომ მიიღო 52 მუხლი შემდეგ კითხვებზე. პირველათ მოხსენდა შეკითხ რიგაში 7 კაცის მომავალ სიკვდი დასჯის შესახებ. ვინავერი წინადადებ იძლევა, რომ შეკითხვა არა მარტო სა დრო მინისტრს, არამედ შინაგან საქმ მინისტრსაც უნდა ეხებოდეს. მას ეთან ბა ტენისონი, რომელიც ამტკიცებს, პრიბალტიის მხარის გენ. გუბერნატ სამხედრო მდგომარეობის მიუხედავათ ნაგან საქმეთა მინისტრის შთაგონებით მ ქმედობს. ვინავერის წინააღმდეგ რამდენ რმე კ. კარავაევი ლაპარაკობს. ხმები გა ყო. ალადინი აცხადებს, რომ არავითარ იმედი არაა ამდენი ადამიანების სიცოც ხლე დავიფაროთ. თუ მუდამ ვარწმუნებ ხალხს: რომ მინისტრები, მარტო გრ სურვილით—მკვლელობით—გაღენთილი იან, შეიძლება რომ ისინი დავამარცხოთ თავმჯდომარე აჩერებს ორატორს. ვინავე რის წინადადება უარყოფილ იქნა. მიიღე შეკითხვა საშინაო საქმეთა მინისტრთან სა თათითბიროს მოქმედებაზე, მავრობის აგენ ტების მიერ ცრუ ცნობების გავრცელებ შესახებ. პოლონეთის დეპუტატებმა შემო ტანეს შეკითხვა რომ პოლონეთში სიკვდ ლით დასჯის განაჩენები 26 მაისიდან გააუ ქმონ. გადასწყვიტეს შეეკითხონ სამხედრ მინისტრს და ბოლოს მიიღეს შეკითხ კურლენკოსი 73 წლის მოხუცის დატყვე ვების და გადასახლების შესახებ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს წევრთა კერძო თათბირზე მშრომელთა ჯგუფის და კადეტების პარტიის შორის ცხარე კამათი გაიმართა სათათბიროში პარტიათა მიხედვით ადგილების განაწილების შესახებ. მშრომლებმა გაიმარჯვეს. განსაკუთრებულმა კომისიამ უნდა გაანაწილოს ადგილები. ამიერიდგან პარტიები ცალ-ცალკე დაიჭირენ ადგილებს და არა ისე არეულათ, როგორც ახლა.

**პარიჟი.** გენერალი დალმტეინი დაინიშნა პარიჟის სამხედრო გუბერნატორათ. მთავრობამ შეიმუშავა ამნისტიის პროექტი, რომელიც პა-დე-კალესა და პრესსანვილის გაფიცვებში მონაწილეობისათვის სასამართლოს მიერ დასჯილთ შეეხებათ. ამნისტია არ შეეხება პარიჟის პოსტის მოსამსახურეებს. მინისტრთა საბჭომ მიანდო მინისტრ ბარტუს დათხოვილების სამსახურში უკან მიღება.

**ვენა.** იმპერატორმა მიიღო უნგრეთის დელეგაცია. იმპერატორმა უთხრა მათ: ჩვენს უცხო ქვეყნებთან ამ ორ უკანასკნელ წლის განმავლობაში არსებულ დამოკიდებულებას უეჭველათ მშვიდობიანური ხასიათი ჰქონდა". განაცხადა რა თავისი აღშფოთება ისპანიის მეფეზე თავ დაცემის შესახებ, იმპერატორმა განაგრძო: „გერმანიასთან 25 წლის წინათ შეკრული კავშირი არის მშვიდობიანური განწყობილების თავდები. გერმანიის იმპერატორის უკანასკნელმა ვიზიტმა დაამტკიცა ეს. ასე თივე ნდობით სავსეა ჩვენი განწყობილება იტალიურ მოკავშირესთან... ჩვენსა და მეგობრულ რუსეთს შორის შეკრულმა შეთანხმებამ ბალკანეთის ნახევარ კუნძულის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ნაყოფი მოიტანა. თუ ეხლაც ბევრი ნაკლია ამ ნახევარ კუნძულზე—მისი საზოგადო მდგომარეობა მაინც გაუმჯობესდა. უპირველეს ყოვლისა თავიდან ავიცილეთ უფრო სერიოზული უთანხმოებანი.

## „ლამპარი"-ს ფოსტა.

**პელაგია საქაგელოვი-ლუარსაბიძისას.** ბლაღოჩინ მეტრეველს ეყოფა, რაც დაიწერა.

**მოსე გოგიბერიძეს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ჯინჯარს.** არ დაიბეჭდება.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე.

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა". ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65.